ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

[esif,fsb7 @ fudbcnj7 @)!@ 1182 (5872) afcb5 #) stshb

## სასამართლომ ალიას“ ოთარ კობერიძისთვის 50.000-ის გადახდა დააკისრა

„ხელისუფლებამ „ალია ჰოლდინგის“ მოკვლა გადაწყვიტა“ გვ.7

# კახეთში სუფრის გაშლის გამო ქდმ-ის ლიდერებს 3-წლიანი პატიმრობა ელით



გვ.4

## რა მოხდა გურჯაანში



## რუსეთი საქართველოს საზღვრებთან ჯარებს უყრის თავს გვ.7



## ივანიშვილი საქართველოს ხელისუფლებას უჩივის

გვ.2



## სანდრო ბრეგაძე: ჩვენ არავის ვუპირისპირდებით“



## თენგიზ დიხამინჯია: ნაციონალები მშვიდობიანად არ წავლენ“

გვ.5

### საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდება

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს ჩატარდება. ამის შესახებ გუშინ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, რომ არჩევნები დემოკრატიულ და სამართლებრივ გარემოში ჩატარდეს, ხოლო წინასაარჩევნო პროცესი გამჭვირვალე იყოს.

ამასთან, მანჯგალაძის განცხადებით, პრეზიდენტი საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში გრძელვადიანი საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლას, რომლის ინიციატივითაც მიხეილ სააკაშვილი გაზაფხულზე გამოვიდა.

ნიუსპრესი



გვ.2

## ინგა გრიგოლია: სააკაშვილი საკუთარი თავის ოპოზიციაშია“



## ჩახვაძე მეხილეებს გამოესარჩლა

გვ.7



## ამომრჩეველთა ლიგა“ საბოლოო შედეგებს 1 კვირაში გამოაქვეყნებს

გვ.3

ISSN 1987-9385

**10** 101 წლის ქმარმა 85 წლის ცოლს ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილი უყიდა

**3** საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკან დაიხია?

**6** ზნაურის რაიონში იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

**3** ამომრჩეველთა ერთიანი სია გამოქვეყნდა

კეჰ]ბ ობსტქბ .დბსტქბ იფდბ

# ივანიშვილი საქართველოს ხელისუფლებას უჩივის

გულიკო ბალაძე

ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები ელოდება მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების ცენტრში. 2012 წლის 16-17 ივლისს თბილისში ჩამოსული იყვნენ საერთაშორისო იურიდიული ფირმის „გადენის“ ვაშინგტონისა და ლონდონის ოფისების წარმომადგენლები. სწორედ ამ იურიდიულმა ფირმამ ითავა ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლობა და დაცვა მისი დარღვეული საინვესტიციო უფლებების აღსადგენად, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შელახა.

– ბიძინა ივანიშვილის უფლებების დასაცავად შერჩეულ იქნა ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტი, როგორიც არის მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც მდებარეობს ვაშინგტონში. ამ სასამართლოს დებულების შესაბამისად, ფირმა „სკადენმა“ ბიძინა ივანიშვილის სახელით მოამზადა იურიდიული დოკუმენტი, „უკანასკნელი შეტყობინება დავის შესახებ“. ეს დოკუმენტი დავის დაწყებას მოასწავებს, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ, – დავა არსებობს „ბიძინა ივანიშვილსა და საქართველოს მთავრობას შორის“, რომელმაც გასული წლის ოქტომბრიდან მრავალი პოლიტიკურად მოტივირებული უკანონობა ჩაიდინა ივანიშვილის მიმართ.

31 ივლისს ეს შეტყობინება უკვე ჩაბარდა საქართველოს პრეზიდენტსა და იუსტიციის სამინისტროს.

პროცედურის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას მიეცა გონივრული ვადა, 14 დღე, რათა მან აღიაროს ჩადენილი უკანონობანი და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შეთანხმებას მიაღწიოს ბიძინა ივანიშვილის სამართლებრივ მრჩევლებთან მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემთხვევაში, საინვესტიციო დავა-განხილვის ცენტრს დაუყოვნებლივ წარედგინება საჩივარი-მოთხოვნა არბიტრაჟის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც დავას მსოფლიოში აღიარებული ავტორიტეტული სამართალმცოდნეები განიხილავენ.

განხორციელებული შეტყობინებებისა და სამომავლო ქმედებების შესახებ განმარტება გააკეთა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა, რომელიც ამ დავაში ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს იცავს ზემოთ აღნიშნულ საერთაშორისო იურიდიულ ფირმასთან ერთად.



არჩილ კბილაშვილის განცხადებით, ეს ინსტიტუტი, რომელიც გამოყენებულ იქნა, არის მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრი. „ამ ჭრილში, ყველა ის საინვესტიციო უფლება, რომელიც შეილახა გასული წლის ოქტომბრიდან, აღნუსხულია და ამ ცენტრს განსახილველად წარედგინება“.

არჩილ კბილაშვილმა წარმოადგინა დარღვეული უფლებების ჩამონათვალი, რომელიც „საინვესტიციო ასპექტში დაფიქსირდა გასული წლის ოქტომბრიდან მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური საქმიანობის დაწყების შესახებ გამოაცხადა“.

– ეს იყო ბანკ „ქართუსთან“ დაკავშირებული მთელი რიგი უკანონობები:

კერძოდ; ეს იყო კანონის შეცვლა, რომლის საფუძველზეც ბანკმა „ქართუმ“ 119 მილიონი ლარის ზარალი ნახა. ეს კანონის შეცვლა შეეხებოდა იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი ქონებების გაუფასურებას, რასაც საფუძვლად დაედო კანონის შეცვლა;

ეს შეეხება ბანკის უკანონო დაჯარიმებას, თითქოსდა იმ ბონუსების პოლიტიკური მოტივაციის გამო, რომელიც მან თანამშრომლებზე გასცა და 800 ათას ლარს აღემატებოდა;

ეს შეეხება იმ უკანონო რეიდს, რომელიც შს სამინისტრომ მოაწყო გასული წლის ოქტომბერში, როდესაც ფულის გათეთრების ბრალდებით ფულის საინკასაციო მანქანა იქნა დაკავებული, თანხა ამოღებული, ხოლო მოგვიანებით, 2 თვის თავზე, დაბრუნებული.

ეს შეეხება ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლით ბანკიდან კლიენტების გადინებას, როდესაც ოქტომბრის ბოლოს, ორ თვეში, ბანკიდან გადინებულ იქნა 45 მილიონი ლარი.

ეს შეეხებოდა იმ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებმაც იქ ანგარიშები დახურეს, ასევე იმ კლიენტებს, რომლებმაც ასევე ძალოვანი სტრუქტურების ზემოქმედებით ბანკი დატოვეს. შეეხებოდა ასევე ყადაღას, რომელიც დაედო „პროგრესბანკში“ ბიძინა ივანიშვილის წილს.

ეს დარღვეული უფლებების სპექტრი ასახული იქნა იმ შეტყობინებაში, რომელიც გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

– ეს არის იურიდიული დოკუმენტი. მას ჰქვია „უკანასკნელი შეტყობინება დავის შესახებ“. ის წარმოადგენს ფორმალურად აუცილებელ დოკუმენტს, რომელიც უნდა ჩაბარდეს მთავრობას, რათა დავა იქნეს დაწყებული. ამ ფორმალური მოთხოვნის საფუძველზე, ორი კვირის ვადა იქნა განსაზღვრული ადვოკატების მიერ, რომ მთავრობამ აღიაროს ჩადენილი უკანონობა და მეორე – ბატონ ბიძინას სამართლებრივ მრჩევლებთან ერთად, დაიწყოს მოლაპარაკება ზიანის ანაზღაურების შესახებ. რასაკვირველია, არავის აქვს იმის ილუზია, რომ დღეს დღევანდელი მთავრობა აღიარებს ჩადენილ უკანონობას და აანაზღაურებს, მაგრამ ეს არის აუცილებელი პროცედურული ნაბიჯი, რომელიც აუცილებელია და საჭიროა შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

არჩილ კბილაშვილის განმარტებით, ამ ეტაპისთვის თანხის მოცულობა არ არის დაზუსტებული. ეს შესწავლის საგანია, მაგრამ ის რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი იქნება.

– ყველა ის დარღვევა, რომელიც ფინანსური თვალსაზრისით ზიანის მომტანია, ოქტომბრიდან დაწყებული, როდესაც კონკრეტულ დარღვევას ჰქონდა ადგილი, უკვე მათ ერიცხებათ გარკვეული პროცენტები და, როდესაც დავა დასრულდება, დასრულების დროს ანაზღაურებას დაექვემდებარება არა მხოლოდ უშუალოდ ის ზიანი, რომელიც დადგა, არამედ ამ თანხებზე დარიცხული პროცენტები, რომელიც ბანკთაშორის ბირჟის მონაცემების მიხედვით გაირკვევა, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

არჩილ კბილაშვილი ვარაუდობს, რომ უახლოესი ორი კვირის შემდეგ, იმის გამო, რომ დიდი ალბათობით უშედეგოდ ამოიწურება მთავრობისთვის განკუთვნილი ორკვირიანი ვადა, დავის ახალი სტადია დაიწყება, რაც კონკრეტულად არბიტრაჟისთვის მასალების გადაცემასა და არბიტრაჟის ჩამოყალიბებასთან იქნება დაკავშირებული.

შემდეგ არჩილ კბილაშვილმა და მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს.

– შეეხება თუ არა ეს დავა იმ ჯარიმებს, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გადაიხადა 80 მილიონის სახით?

**არჩილ კბილაშვილი:**

– არა ეს დავა არ შეეხება ბიძინა ივანიშვილის მიერ გადახდილ 80 მილიონს, რადგან მან 80 მილიონი გადაიხადა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად და, ბუნებრივია, ნებაყოფლობით გადახდილ თანხას არ განიხილავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ანგარიშში.

– ანუ ამ 80 მილიონის გადახდა ნიშნავს თუ არა იმას, რომ ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ ამ 80 მილიონის გადახდა სამართლიანად გამოწერილი იყო მის წინააღმდეგ?

– არა, ეს იმას არ ნიშნავს. როგორც არაერთხელ ითქვა და ახლაც გავიმეორებ – 80 მილიონი სტიქიით დაზარალებულთათვის გადაიხადა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მაინც გადაიხდიდა ამ თანხას, მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა სამართალწარმოება, რადგან ეს იყო მისი კეთილი ნება შეჭირვებულ თანამოქალაქეთა დახმარებისთვის გაღებული. ბიძინა ივანიშვილის მიერ თანხის გადახდა არ უკავშირდება მის დაჯარიმებას. ოფიციალურად ეს იყო საშუალება მისი ამ სურვილის განხორციელებისა. სხვა საშუალება მას არ ჰქონდა.

პრესკონფერენციაზე დაისვა შეკითხვა იმ ფასიანი რეკლამის თაობაზე, სადაც ნაციონალები საუბრობენ ქცევის კოდექსთან დაკავშირებით.

ნაციონალურმა მოძრაობამ ტელევიზიით დაიწყო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა ქცევის კოდექსთან დაკავშირებით, თითქოს ამ კოდექსის შემსრულებლები თვითონ ნაციონალები არიან. ქცევის კოდექსს პარტიებმა უკვე მოაწერეს ხელი. მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ არ მოუწერია. ამასთან დაკავშირებით ორი დღის წინ ნაციონალური მოძრაობის პრესმდივანმა მიხეილ მაჭავარიანმაც გააკეთა განცხადება და მოუწოდა „ქართულ ოცნებას“, ხელი მოაწეროს.

# ინგა გრიგოლია: სააკაშვილი საკუთარი თავის ოპოზიციაშია“

## კახეთი პოლიტიკისთვის არავინ უნდა გამოიყენოს

ნონა ცაბაძე

**ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ინგა გრიგოლია გამოდის ინიციატივით და მოითხოვს, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა სასწრაფოდ დატოვოს ეს პოსტი, რადგან ნაცმოძრაობის მხრიდან ძალიან ბოროტად ხდება სახელისუფლებო რესურსის გამოყენება.**

**„ახალი თაობა“ ინგა გრიგოლიასთან ინტერვიუს გთავაზობთ.**

**ინგა გრიგოლია:**

– დღეს საქართველოში წინასაარჩევნო ისტერიკაა და ეს არის ყველა მხრიდან. ყველაზე მეტად თვალშისაცემია გამძაფრებული ბრძოლა იმისთვის, რომ სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ შეინარჩუნოს ხელისუფლება. ჩვენ ამის ძალიან ბევრი მაგალითი უკვე გვქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ორი თვეა, რაც რეგიონებში დავდივარ და ერთადერთი კითხვით მივმართავ ხოლმე მოსახლეობას – გჯერათ თუ არა იმ მითიური დაპირებების, რომლებსაც ახლა მთავრობისგან ვისმენთ. ყველას პასუხი არის, რომ არა. თუ ამ არჩევნების ჩატარება მოხდება მართლაც ნორმალურ პირობებში, გამორიცხულია, ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვოს.

***– ნორმალურ პირობებში რას გულისხმობთ?***

– დღეს გურჯაანის მოსახლეობას უნდა შევხვდე და სწორედ იქ ვაპირებ ამ განცხადების გაკეთებას, რომ მიხეილ სააკაშვილმა სასწრაფოდ დატოვოს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტი, იმიტომ რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ძალიან ბოროტად ხდება სახელისუფლებო რესურსის გამოყენება. ვითომ წინასაარჩევნო კამპანია არა აქვს პარტიას დაწყებული და სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ პრეზიდენტი თავის მინისტრებთან ერთად დარბის წინ და უკან და რეალურად ეს არის მათი საარჩევნო კამპანია. ერთხელ მაინც ამ ქვეყანაში უნდა მოვახერხოთ, რომ ჩატარდეს არჩევნები ისე, რომ არ იყოს პრეზიდენტი ერთი პარტიის პირველი პირი. თუ უნდა მას, რომ ნორმალურად დაამთავროს თავისი ორწლიანი ვადა, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და გადადგეს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტიდან. მე გაძლევთ პირობას, რომ გამორიცხულია, თუ სააკაშვილი აღარ იქნება ამ მოძრაობის პირველი პირი, ამ მოძრაობას ერთმა კაცმა მაინც მისცეს ხმა.

***– ზოგადად როგორ შეაფასებდი ქვეყანაში არსებულ ვითარებას?***

– დღეს ხელისუფლება აღმოჩნდა საკუთარი თავის ოპოზიციაში, უფრო სწორად – სააკაშვილი. თუკი მის განცხადებებს დააკვირდებით, მართლაც რომ ასე გამოდის, სააკაშვილიც და იგივე ვანო მერაბიშვილიც საკუთარი თავის ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. წლების განმავლობაში ეს ხალხი თვითონ წყვეტდა აბსოლუტურად ყველაფერს, დღეს კი მოგვევლინნენ საკუთარი ხელისუფლების ოპოზიციაში. ახლა გაიგეს თურმე, რომ ხალხს უჭირს, რომ დაუსაქმებელია, რომ შემოსავალი არა აქვს. ახლა გაიგეს თურმე, რომ ჩვენი თაობის უდიდესი ნაწილი უცხოეთშია გახიზნული და იმისთვის, რომ ოჯახები გადაარჩინონ შიმშილით სიკვდილს, დამლაგებლებად მუშაობენ. სააკაშვილსა და მერაბიშვილს ნამდვილად ვეღარ გადაარჩენს ეს ახალ-ახალი დაპირებები. წელან ვთქვი, უნდა გადადგეს-მეთქი, უნდა გადადგეს იმიტომ, რომ ბოროტად იყენებს სააკაშვილიც და მისი პარტიაც სახელისუფლებო რესურსს წინასაარჩევნოდ. სწორედ ამიტომ მოვუწოდებ, ერთხელ მაინც მოხდეს ამ ქვეყანაში, რომ პრეზიდენტი დადგეს თავისი პარტიის კამპანიის მიღმა და ეს აუცილებლად უნდა მოხდეს. თუ უნდათ, რომ არჩევნები არჩევნებს დაემსგავსოს, მან უარი უნდა თქვას პარტიის თავმჯდომარის პოსტზე.

***– რამდენად წავა ის ამაზე?***

– მე არ ვიცი, რამდენად გააკეთებს. მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილს ეს მისცემს იმის შანსს, რომ თუნდაც მეორე პრეზიდენტობის ვადა მაინც ამოწუროს ისე, რომ რაღაცა ერთი პლუსი მაინც დაიწეროს საკუთარი ხალხის თვალში. უნდა შეეშვას იგი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიას, ის ხელმძღვანელობს, მან უნდა მიხედოს სახელმწიფო საქმეებს და ნაციონალური მოძრაობა უნდა ჩადგეს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც არის სხვა დანარჩენი. მე ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი კაცი არ მინახავს და, როდესაც შეხვედრებზე ხალხი მიჰყავთ, სააკაშვილის გამო მიჰყავთ, თორემ ნაცმოძრაობის წევრების შეხვედრები ინტერნეტში ბევრი გვინახავს.



დღეს საქართველოში არის შეჯიბრი სოციალურ დემაგოგიაში. ერთი მხრივ, არის სახელისუფლებო რესურსი, ფული და ძალა, მეორე მხრივ არის უზარმაზარი ფული ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიციის სახით და ჩვენ ვხედავთ, რომ მართლა მიდის შეჯიბრება სოციალურ დემაგოგიაში. თითქოს ამდენი წელი ან ერთმა, ან მეორე მხარემ, რომლებიც სააკაშვილსა და მის ხერხემალს აფინანსებდნენ, არ იცოდნენ, რომ ხალხს ძალიან უჭირდა, რომ სოფლის მეურნეობას მილიარდები სჭირდებოდა და ასე შემდეგ. ზოგიერთებისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვასხვავებთ ერთმანეთისგან სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს. ჩვენთვის სააკაშვილიც და მერაბიშვილიც არის ერთი და არ ვყოფთ იმ კატეგორიებად, რომ მიშა ცუდი პრეზიდენტია და ვანო – კარგი მენეჯერი. მე არავის ვერჩი, მაგრამ ყოველგვარი ტანჯვების და კომპლექსების გარეშე ვამბობ, რომ როდესაც ჩვენ გვიყენებენ რაღაც ერთგვარ ბრალდებას, რომ ხელისუფლებასთან არიან გარიგებულები, სულ მიჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება, დააბრალო ეს სხვას, როდესაც შენ წლე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ამომრჩეველთა ერთიანი სია გამოქვეყნდა

ნათია ხურცილავა

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიამ ამომრჩეველთა ერთიანი სია გამოაქვეყნა. სია მიმდინარე წლის 1-ლი აგვისტოს მდგომარეობით არის შედგენილი და ასეთია: ძირითად სიაში არის 3 385 844 მონაცემი; აქედან მისამართის გარეშე 52 648 ამომრჩეველი; რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია 188 995 ამომრჩეველი; გაურკვეველი მისამართის მქონეა 42 390 ამომრჩეველი; აღნიშნული სიის მიხედვით საზღვარგარეთ იმყოფება 310 113 ამომრჩეველი;

ამ მონაცემებში ითვლება თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაცვის პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლები, რომლებიც ხმას სპეციალურ უბნებზე აძლევენ და ასეთი არის 55 277 ამომრჩეველი, იძულებით გადაადგილებული კი – 207 055 ამომრჩეველია.

კომისიამ ასევე წარმოადგინა ხმის უფლების მქონე პატიმრების რაოდენობა, რომელთა რიცხვი 1 295 ამომრჩეველია, ხოლო რეგისტრაცია გაუქმებული აქვს 183 465 ამომრჩეველს.

როგორც კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ორი დღის განმავლობაში ერთიანი სიის საჯარო ელექტრონული ვერსია გამოქვეყნდება.

კაციტაძის განცხადებით, ეს არ არის ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვარიანტი, სიის ფორმირება კიდევ ერთი თვე გაგრძელდება, ხოლო საბოლოო ვერსიას კომისია არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, 15 სექტემბერს დადებს.



კაციტაძის განმარტებით, ამ დროისთვის ვერ დაზუსტდა ევროკავშირის იმ მოქალაქეთა მონაცემები, რომლებიც დაბადებულები არიან საქართველოში და ბოლო ხუთი წელია ცხოვრობენ საქართველოში. მისი თქმით, შესაძლოა ასეთი მოქალაქეების დაზუსტება ამ ერთი თვის განმავლობაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დახმარებით განხორციელდეს.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარემ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას ამომრჩეველთა ერთიანი სია გადასცა.

სიაში ასახულია ამომრჩეველთა მონაცემები მიმდინარე წლის 1-ლი აგვისტოს მდგომარეობით. ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება სიაში რაიმე ბუნებრივი ცვლილების შეტანა, ისინი მიმართავენ სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიას და შემდეგ მასში ცვლილებებს შეიტანენ.

ზურაბ ხარატიშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში მაგიდებზე მხოლოდ სიების დაზუსტების კომისიის მიერ შეტანილი ამომრჩეველთა ერთიანი სია იქნება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების 1-ლ ოქტომბერს ჩასატარებლად მზად არის, – ამის შესახებ ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა განაცხადა. – სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაცია ყველა დონეზე მზად არის, სრულფასოვნად ჩაატაროს პირველი ოქტომბრის არჩევნები. ჩვენ გვქონდა საკმარისი დრო, საკმარისი ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რომ ამ პროცესის ორგანიზება კარგად გაგვეკეთებინა, – აღნიშნა ხარატიშვილმა.

ცესკოს თავმჯდომარის განცხადებით, ის, რომ არჩევნების დღე ორშაბათია და საზღვარგარეთ ეს დღე სამუშაო დღე იქნება, სავარაუდოდ, არჩევნების შედეგზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს.

ხარატიშვილის თქმით, საზღვარგარეთ არსებობს პრაქტიკა, რომ არჩევნები სამუშაო დღეს იყოს.

ცესკოს თავმჯდომარის ინფორმაციით, ამ დროისთვის ცესკო-ში განაცხადი 32 პოლიტიკურ პარტიას აქვს შეტანილი, მათ შორის 5 უკვე დარეგისტრირებულია. ორი დღის წინ არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის განაცხადის შეტანის ვადა ამოიწურა. რაც შეეხება იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავთ, განაცხადის შეტანის ვადა 5 აგვისტოს 18.00 საათამდე აქვთ. არჩევნებში მონაწილე პარტიებმა მაჟორიტარი კანდიდატები და პარტიული სიები არჩევნებამდე არაუგვიანეს 30 დღის ვადაში უნდა წარადგინონ.

„საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

თითოეულ ოლქში თითოეულმა პარტიამ, ბლოკმა თუ საინიციატივო ჯგუფმა თითო-თითო კანდიდატი უნდა წარადგინოს.

პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. ჯგუფმა ხელმოწერები არჩევნებამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა უნდა წარადგინოს.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ კანდიდატებს წარადგენს არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

# „ამომრჩეველთა ლიგა“ საბოლოო შედეგებს 1 კვირაში გამოაქვეყნებს

ნათია ხურცილავა

**„ამომრჩეველთა ლიგამ“ თბილისსა და ზუგდიდში სიების დაზუსტების ალტერნატიული კამპანია დაასრულა. გუშინ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე კოკა გუნცაძემ მათ მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კარდაკარის შემაჯამებელი მონაცემები გამოაქვეყნა.**

როგორც გუნცაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სამუშაოების 98 პროცენტი დასრულებულია. მიმდინარე კვირას დასრულდება შავი ლაქების დაფარვის პროცესიც და ორშაბათიდან ახალი მონაცემები „ამომრჩეველთა ლიგის“ ვებგვერდზე განთავსდება.

– „ამომრჩეველთა ლიგამ“ დაასრულა სიების დაზუსტების ალტერნატიული კამპანია კარდაკარის მეშვეობით. ჩვენ ვასრულებთ ჩვენი ბრიფინგების ციკლს. ეს არის შემაჯამებელი ბრიფინგი და საზოგადოებას ვაუწყებთ საბოლოო, შემაჯამებელი მონაცემების შესახებ, – განაცხადა გუნცაძემ.

გუნცაძის თქმით, თბილისის საერთო სიაში 903.171 ადამიანი იყო, აქედან „ამომრჩეველთა ლიგამ“ აღწერა 732.554, გარდაცვლილი აღმოჩნდა 5.048, უცხოეთში წასული – 41.226, დაუდგენელია – 97.735, მისამართი არ იძებნება – 21.013 და სიაში არ არის 9.016. მისი განმარტებით, საერთო ცდომილება დაახლოებით 21 პროცენტია. ასევე გამოქვეყნდა ზუგდიდის სიებიც. გუნცაძის განცხადებით, ხელისუფლების მავნებლობის შედეგად ზუგდიდის 12 უბანში ვერ მოხერხდა შესვლა და აღრიცხვა.

– ჩვენი რეგისტრატორები ვერ შევიდნენ. ადგილი ჰქონდა ზეწოლას, დაშინებასა და დაშანტაჟებას. ეს 12 საარჩევნო უბანი გახდა ხელმიუწვდომელი. ცდომილებები, რომელიც ზუგდიდში შეიძლება გამოყენებულ იქნეს არჩევნების ფალსიფიკაციისთვის 17 პროცენტს შეადგენს, – განაცხადა გუნცაძემ.



სიაში საერთო რაოდენობაა 106.134, აქედან აღწერილია 97.563, გარდაცვლილია – 824, უცხოეთში იმყოფება – 2.059, დაუდგენელია – 12.655, მისამართი არ იძებნება – 2.757 და სიაში არ არის – 1201.

– მოცემული შედეგებიდან გამომდინარე, ასევე, გამომდინარე იმ მონაცემებიდან, რომელიც სახელმწიფო კომისიამ გამოაქვეყნა, ასევე საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე და საფუძვლიანი ეჭვებიდან, რომელიც ამ კომისიის მიმართ არსებობს „ამომრჩეველთა ლიგას“ რამდენიმე მოთხოვნა აქვს, – ამბობს გუნცაძე და ამ მოთხოვნებს ასე აყალიბებს:

„ამომრჩეველთა ლიგა“ სიების დაზუსტების უზრუნველყოფის სახელმწიფო კომისიას მოუწოდებს, გამოქვეყნდეს და საჯარო გახდეს ამომრჩეველთა ერთიანი სია, ასევე კომისიამ ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რამდენი ამომრჩეველი იმყოფება საქართველოში, რამდენია დაუდგენელი და მიწერილი ამომრჩეველი და რამდენი ამომრჩეველია ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

კოკა გუნცაძის განცხადებით, სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიამ უნდა გამოაქვეყნოს სია იმ გეოგრაფიულ არეალში, კერძოდ, თბილისსა და ზუგდიდში, სადაც „ამომრჩეველთა ლიგამ“ განახორციელა ალტერნატიული კამპანია. „ამომრჩეველთა ლიგა“ მზად არის გადასცეს იდენტიფიცირებული მონაცემები აღნიშნულ კომისიას სიების შემდეგი შეჯერების მიზნით.

– თუ ჩვენი სამართლიანი და საფუძვლიანი მოთხოვნები არ იქნება გათვალისწინებული, „ამომრჩეველთა ლიგა“ დაიწყებს ფართომასშტაბიან კამპანიას ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, ჩვენ გამოვიყენებთ ბევრ ხერხს, დაშვებულ, კონსტიტუციურ საშუალებებს. ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას შემდეგში მოგაწვდით. პირველ რიგში ჩვენ დავდებთ მონაცემებს და მოვითხოვთ შესაბამისი უწყებებიდან, მაგალითად, დაუდგენელი პირების დადგენას. დაადგინონ მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. დაადგინონ, თუ ეს ადამიანები ბუნებაში არსებობენ. ჩვენი კოორდინატორები მივლენ, გადაამოწმებენ და ამ ადამიანებს მოეხსნებათ დაუდგენელი პირის სტატუსი. თუ ეს ადამიანები რეალურად არ არსებობენ, ცხადია, ეს ადამიანები მიწერილი ამომრჩევლის სტატუსს მოიპოვებენ და არა დაუდგენელისას. არჩევნების ფალსიფიკაცია არ მოიცავს მხოლოდდამხოლოდ ამომრჩეველთა სიების ფალსიფიკაციას, ფალსიფიკაცია ძალიან კომპლექსური მოვლენაა, გულისხმობს ინფორმაციის გადაკეტვას, გულისხმობს წერტილოვან დარტყმებს, რეპრესიულ ხერხებს, რომელსაც ხელისუფლება მიმართავს, პოლიტიკურ დევნას, საბიუჯეტო სახსრების უკანონოდ გამოყენებას. ყველა ეს ხერხი საბოლოოდ არათანაბარ და არაკონკურენტულ საარჩევნო გარემოს ქმნის, – განაცხადა კოკა გუნცაძემ.

# საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკან დაიხია?

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების პროცედურაში კორექტირება შეიტანა. საკითხი საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილიდან ცნობას ეხება, რომლის წარდგენის ვალდებულება სამინისტრომ გასულ თვეს შემოიღო.

კონკრეტულად კი საუბარია საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის წარდგენაზე.

სანამ ცვლილება მოხდებოდა, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების განსახორციელებლად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ განცხადება-ანკეტა, თანმხლები უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მოქმედი პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი და 3 ფოტოსურათი.

გასულ თვეს განხორციელებული ცვლილებებით კი საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ დოკუმენტებს საცხოვრებელი ადგილიდან ცნობაც დაამატა. ასეთი ცნობის წარდგენის ვალდებულების დაწესებას არასამთავრობო სექტორის პროტესტი მოჰყვა. მათ ეს დეტალი, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მიერ არჩევნებში მონაწილეობის მიღების გართულებად მიიჩნიეს.

არასამთავრობო სექტორის პროტესტის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრომ დამატებითი ცვლილებები კიდევ განახორციელა და დაადგინა, რომ ადგილსამყოფელი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი ცნობის არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, პირმა წარადგინოს სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც პირის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია დადასტურდება. „საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ“ საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილებები „საკანონმდებლო მაცნეში“ უკვე გამოქვეყნდა და ძალაშიც შევიდა.




# კახეთში სუფრის გაშლის გამო ქდმ-ის ლიდერებს 3-წლიანი პატიმრობა ელით

## რა მოხდა გურჯაანში

თეა მარხვაიძე

ივლისის ბოლო დღე ქართული პოლიტიკისთვის საკმაოდ საინტერესო გამოდგა. 31 ივლისს გურჯაანში გამართულმა პოლიტიკურმა პურ-მარილმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. ეს პურმარილი ბიძინა ივანიშვილს ან ნინო ბურჯანაძეს რომ ეკისრათ, ეფექტი გაცილებით მეტი ექნებოდა, მაგრამ რადგან პურმარილი ქრისტიან-დემოკრატებმა გაშალეს, უფრო მოკრძალებული ალიაქოთი ატყდა. შეფასებებში ხელისუფლება აშკარად კონსტრუქციულია. სამაგიეროდ, ბიძინისტებმა ატეხეს ამბავი. იმდენი ქნეს, სანამ კონტროლის პალატა არ დააინტერესეს ამ ქეიფით.

თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, კონტროლის პალატა რესტორნად ან სახინკლედ გადაკეთდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ უწყებას ბოლო დროს საეჭვოდ გაშლილი პურმარილების შესწავლა უწევს.

ყველაფერი ერთი ნაციონალის ამბით დაიწყო. სააღდგომოდ რუსთავში მოსახლეობას ღვინო დაურიგეს და ცხვარიც დაუკლეს, ცოტა ხნის შემდეგ კი დეპუტატ დავით ბეჟუაშვილს არ შეარგეს ასურეთში ქეიფი.

ამ სოფელში დღესასწაული იყო, სადაც პატარა პურმარილი გაიშალა. ოპოზიციის მტკიცებით, ის სუფრა ბეჟუაშვილმა იკისრა. ნაცმოძი ამტკიცებს, რომ დეპუტატიც სტუმრად იყო იმ სუფრაზე მიპატიჟებული. ეს საქმე მაკონტროლებლებმაც შეისწავლეს და ის უდანაშაულოდ ცნეს.





ახლა კი მაკონტროლებლებს გურჯაანში გამართული პოლიტიკური პიკნიკი ექნებათ შესასწავლი. ისე, სუფრის წევრებსა და საკვებ პროდუქტებს თუ გადავხედავთ, წინასწარ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ეს კაი დიდ თანხებთან იქნებოდა დაკავშირებული.

სუფრა ათას კაცზე იყო გაშლილი. სუფრის წევრებს ღვინით, მწვადით, პურით, კიტრითა და პომიდვრით გაუმასპინძლდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 31 ივლისს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერები გურჯაანში, დიდების მემორიალზე კახეთის სხვადასხვა რაიონიდან „მარშრუტკებით" ჩამოყვანილ მხარდამჭერებს შეხვდნენ. მაკონტროლებლები, ალბათ, იმასაც გაარკვევენ, მათაც იაფად ხომ არ მიაქირავეს ტრანსპორტი, როგორც ეს მეოცნებეების შემთხვევაში მოხდა.

შეხვედრის შემდეგ პარტიამ მემორიალზე შეკრებილ ხალხს მწვადით, კიტრით, პომიდვრით, პურითა და ღვინით უმასპინძლა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, დიდების მემორიალზე მაგიდები დაახლოებით ათას კაცზე იყო გაშლილი, შეკრებილები კი ათასზე მეტნი იყვნენ.

ხალხის ნაწილი სუფრასთან ვერ მივიდა, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი დიდების მემორიალის მუზეუმში შევიდნენ და იქ დალაგებული ღვინო, პური და მარილი გაზიდეს.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ ხალხმა სუფრა საკუთარი ფულით გაშალა.

– ადამიანები თავიანთი საგზლით ჩამოვიდნენ და საერთო სუფრაა. პარტიის ხარჯებით არ მომხდარა. ორგანიზებულია იმიტომ, რომ ამ ადამიანების კოორდინაცია ჩვენ მოვახდინეთ. ზოგი აპირებდა გზაზე ხაჭაპურის წამოღებას, ზოგი ყველის და ბოლოს შევთანხმდით, რომ ყველამ ერთად ხორცი წამოიღო და აქ შევწვით. ამიტომ ძალიან კარგად გამოვიდა ყველაფერი, – განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი დიდების მემორიალზე შეკრებილთაგან 20-ზე მეტ ადამიანს გაესაუბრა. არც ერთმა მათგანმა ფულის შეგროვების ფაქტი არ დაადასტურა. მათი თქმით, ისინი სუფრასთან პარტიის ლიდერებმა მიიწვიეს და უსასყიდლოდ გაუმასპინძლდნენ.

– მწვადი თუ იწვებოდა, არ ვიცოდი და გამაკვირვა ამათმა გულუხვობამ, ქრისტიან-დემოკრატებმა დაგვპატიჟეს, – განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა.

– ზუსტად ვიცი, რომ ხალხს არ შეუქუჩებია ფული. ჩემი და „ქრისტიან- დემოკრატებშია", მაგათ დაპატიჟეს ხალხი, – აღნიშნა კიდევ ერთმა მხარდამჭერმა.

აღნიშნული ფაქტის შეფასება კახეთის საინფორმაციო ცენტრმა საარჩევნო საკითხებში ექსპერტ ნინა ხატისკაცს სთხოვა.

– ამომრჩევლისთვის პარტიის მიერ ნებისმიერი მომსახურების გაწევა, მათ შორის კვებით მომსახურება ამომრჩევლის მოსყიდვაა. მომსახურების მიმღები, ანუ იქ შეკრებილი მოქალაქეები, თუ მათ მიიღეს 100 ლარამდე ღირებულების მომსახურება, შესაძლოა დაისაჯნენ ადმინისტრაციული წესით, მაგრამ მომსახურების გამწევის, ამ შემთხვევაში პარტიის ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია და ითვალისწინებს ჯარიმას ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, – აღნიშნა ხატისკაცმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრესცენტრის ხელმძღვანელ ფატი მამიაშვილის განცხადებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერების მიერ გურჯაანში მხარდამჭერების გამასპინძლების საკითხს შეისწავლის.

მისი თქმით, უწყება გუშინდელი შეხვედრის დეტალებით უკვე დაინტერესდა და აუდიტის სამსახური შეისწავლის, ჰქონდა თუ არა ამომრჩევლის მოსყიდვას ადგილი.

ისე, აუდიტის სამსახურმა ისიც უნდა შეისწავლოს, რატომ არ იყო დიდების მემორიალთან გაშლილ სუფრაზე ხაშლამა. კახეთში გაშლილი სუფრა ხაშლამის გარეშე წარმოუდგენელია. იქ კი ხაშლამა არ ყოფილა, ყავა და ნამცხვარიც არ ჩამოუტარებიათ.

ვინ და როგორ გაშალა ეს სუფრა, ალბათ, გაირკვევა. ლიდერები ამბობენ, ხალხმა იკისრა სუფრაო, ხალხი ამბობს, ლიდერებმა გვიკისრესო.

ლამაზი ნამდვილად არ არის, როცა სუფრა პოლიტიკური განსჯის საგანი ხდება. სხვა თუ არაფერი, აქ სუფრის დიდ ტრადიციებია. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ კი ლამისაა სახლში ვეღარ გაუშალო ოჯახის წევრებს მაგიდა. მოკლედ, რას გვიშვრება ეს ივანიშვილი.

მაგის გულისთვის ცოტა ხანში შესაძლოა სიმღერა „აყვავებულა არაგვზე დეკაც" კი აიკრძალოს. მოგეხსენებათ, რომ ამ სიმღერას დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ჩიტაური მღერის. ის თიანეთში გეგმავს ლეიბორისტებიდან კენჭისყრას. ჰოდა, ვინ დაგვაჯერებს, რომ ეგ კაცი ამ სიმღერას აწი სუფთა გულით იმღერებს?

არა, რა, ძალიან საინტერესო იქნება, რას დაადგენს გამოძიება და, თუ დამნაშავედ ცნობენ ქდმ-ს, ხუთმაგ ჯარიმას როგორ გამოუწერენ, რანაირად დაადგენენ, რამდენი კილო ხორცი იყო საჭირო 1000 კაცისთვის მწვადის შესაწვავად. ღვინო, კიტრი და პომიდორიც არ უნდა დაგვავიწყდეს.

და კიდევ, ისე ნუ იფიქრებთ, რომ ქდმ კახეთში მარტო სამწვადაოდ დადის. პარტიის ლიდერი გიორგი თარგამაძე გურჯაანელებს სერიოზულ თემებზეც ესაუბრა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებასაც შეუტია.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გურჯაანში მოსახლეობასთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კახეთის რეგიონისადმი გულგრილობაში დაადანაშაულა.

როგორც სააგენტო „ნიუსპრესი" იუწყება, თარგამაძემ ადგილობრივებთან სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ კახეთის რეგიონს, სტიქიური უბედურების გარდა, მთავრობისა და სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის" გულგრილობა უტევს.

მისი თქმით, კომპენსაციები, რომლებიც ხელისუფლებამ დაზარალებული მოსახლეობისთვის გასცა, მათი პრობლემების გადასაწყვეტად საკმარისი არაა.

თარგამაძის განცხადებით, ხელისუფლების პოლიტიკა სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით უპასუხისმგებლოა, რამაც კახელი გლეხი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა.

– კახეთს მხოლოდ სტიქიური უბედურება არ უტევს, კახეთს ჩვენი ქვეყნის მთავრობის გულგრილობა და აბსოლუტური უპასუხისმგებლობა უტევს, რომელმაც საქართველოში სოფლის მეურნეობის ფაქტობრივად ყველა დარგი გააჩანაგა. ამის მაგალითი კახეთია, რომელსაც სტიქიის ეშინია, – განაცხადა თარგამაძემ.

მისივე თქმით, კახეთის რეგიონში სტიქიის შედეგად დაზარალებული ყველა მოქალაქე მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ქართული სოფლის მიზანმიმართული და თანმიმდევრული გაჩანაგების პოლიტიკას კიდევ ერთხელ იმკის.

ბოლოს ისევ 31 ივლისს გაშლილ სუფრას დავუბრუნდებით. ვინ იკისრა ეს სუფრა, ჩვენთვის საინტერესო ნამდვილად არ არის. უბრალოდ, მიგვაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა, ეს საკვები სტიქიით დაზარალებულებისთვის დაერიგებინათ. ბევრი მათგანი დღემდე საზამთროთი და პურით იკვებება.



# ტარყაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ ირაკლი აგლაძის სასამართლო პროცესი 3 აგვისტოს განახლდება

მოქალაქე ზურაბ ტარყაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ ირაკლი აგლაძის სასამართლო პროცესი 3 აგვისტოს განახლდება.

საქალაქო სასამართლოში გუშინ გამართულ პროცესზე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა გაიმართა. როგორც „ნიუსპრესს" აგლაძის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა განუცხადა, ბრალდების მხარემ დღეს მტკიცებულებათა წარდგენა დაასრულა და საბრალდებო სიტყვაც წარმოთქვა.

ადვოკატის თქმით, დაცვის მხარის მიერ დღეს დაყენებული შუამდგომლობები მოსამართლემ არ განიხილა.

„ჩვენ წარვადგინეთ რუსიშვილის სასამართლოს სხდომის ოქმი, რომლის მიღებაზე უარი გვითხრეს, ასევე, დავაყენეთ მოსამართლის აცილების შუამდგომლობა. მოსამართლემ არ განიხილა ჩვენი შუამდგომლობები. ფაქტობრივად, მან მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი განაცხადა"– განუცხადა „ნიუსპრესს" კორკოტაშვილმა.

მისივე ცნობით, დაცვის მხარეს სიტყვის წარმოთქმის შესაძლებლობა 3 აგვისტოს პროცესზე მიეცემა. ადვოკატის განცხადებით, დაცვის მხარე გეგმავს სასამართლოს მთლიანი ანალიზი წარუდგინოს, თუ როგორ ხდება საქმის მასალების ფალსიფიცირება და კონკრეტულ მტკიცებულებებზეც მიუთითებს.

სასამართლო პროცესი 3 აგვისტოს 15:00 საათზე გაიმართება.

ირაკლი აგლაძეს ბრალი ზურაბ ტარყაშვილის განზრახ მკვლელობაში ედება.

მკვლელობა რუსთაველის გამზირზე 2011 წლის 17 ოქტომბერს მოხდა. 23 წლის ზურაბ ტარყაშვილს თავდამსხმელებმა 11 ტყვია ესროლეს, მათ შორის ერთი საკონტროლო.

2010 წლის მარტში, გრიბოედოვის ქუჩაზე, „არტ კაფეში" 21 წლის სანდრო გოგბერაშვილი მოკლეს. ზურაბ ტარყაშვილი სწორედ ამ დანაშაულში მონაწილეობისთვის, ხულიგნობის ბრალდებით სასჯელს იხდიდა და საპატიმრო მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე დატოვა. ერთ-ერთი ვერსიით, ზურაბ ტარყაშვილის მკვლელობა სანდრო გოგბერაშვილის მამამ შურისძიების მოტივით დაგეგმა.

ტარყაშვილის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში სამართალდამცავებმა მკვლელობაში ბრალდებული, 1992 წელს დაბადებული დათო რუსიშვილი დააკავეს.

გამოძიების მტკიცებით, ნარკოტიკული დანაშაულისთვის პირობით მსჯავრდებული, 53 წლის ივერი გოგბერაშვილი, ამავე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პრობაციონერს – 19 წლის დათო რუსიშვილს და 23 წლის ირაკლი აგლაძეს დაუკავშირდა, მათ ზურა ტარყაშვილის მკვლელობა დაგეგმეს და განახორციელეს.

სასამართლომ განზრახ მკვლელობისთვის და იარაღის უკანონო ტარებისთვის დავით რუსიშვილს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ნიუსპრესი



# ლტოლვილთა სამინისტროსთან დევნილი რამაზ არონია შიმშილობს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან აფხაზეთიდან დევნილი რამაზ არონია უკვე მესამე დღეა შიმშილობს.

იგი დევნილების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას მოითხოვს.

როგორც „ნიუსპრესს" არონიამ განუცხადა, მასთან ერთად იმყოფებიან აფხაზეთიდან დევნილები, რომლებიც უკვე წლებია სამინისტროს საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას სთხოვენ.

მისივე თქმით, შიმშილობის აქციას მალე სხვა დევნილებიც შეუერთდებიან.

„გაძლევთ პირობას, რომ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და მიზანს მივაღწევთ"-განაცხადა არონიამ.

ნიუსპრესი

# დათვისჯვრის უღელტეხილთან მომხდარი ავტოავარიის შედეგად 16 ადამიანი დაშავდა

ხევსურეთში, დათვისჯვრის უღელტეხილთან მომხდარი ავტოავარიის შედეგად 16 ადამიანი დაშავდა, მათ შორის უმეტესობა მოზარდია.

როგორც „ნიუსპრესს" მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილემ გივი ამირხანაშვილმა განუცხადა, დაშავებულებიდან ოთხის მდგომარეობა შედარებით მძიმეა.

ავარის დროს დაშავებულები მცხეთისა და დუშეთის საავადმყოფოებში არიან მოთავსებულები, ხოლო სამი ახალგაზრდა ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმების განცხადებით, დაშავებულების მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ავარია 31 ივლისს, გვიან ღამით მოხდა. სამარშუტო ტაქსით თბილისის 43-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგი შატილიდან უკან ბრუნდებოდნენ, როდესაც სატრანსპორტო საშუალებას სამუხრუჭე სისტემამ უმტყუნა და ის დაახლებით 70 მეტრის სიმაღლიდან ხევში გადავარდა.

ინციდენტის ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურები. ადგილზე იმყოფებოდნენ აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

ნიუსპრესი

# თენგიზ დიხამინჯია: ნაციონალები მშვიდობიანად არ წავლენ“

გულიკო ბალაძე

**საკაშვილი და მისი ნაციონალები ძალაუფლების დაკარგვის შიშით ისე არიან გამძვინვარებულები, რომ საზოგადოება მათგან ყოველ წუთს უბედურებას ელოდება. კაცმა არ იცის, ხვალ რას გააკეთებენ. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია აცხადებს, რომ არსებულ ვითარებაში ნაციონალებს ძალაუფლების შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ.**

***— ბატონო თენგიზ, თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც საქართველოს ბოლო 20-წლიანი ისტორიის განმავლობაში პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ბრძოლების ეპიცენტრში იყავით, ხან უშუალოდ მონაწილეობდით იმ პროცესებში, ხანაც — აკვირდებოდით. როგორც ნეიტრალური პიროვნება, არსებულ ვითარებას როგორ აფასებთ, როგორი მდგომარეობაა დღეს საქართველოში?***

— დღეს საქართველოში კატასტროფული მდგომარეობაა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა ძალიან დიდი ძალისხმევა, მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, სოციალური პასუხისმგებლობა. ეროვნული თანხმობის იდეის გარშემო უნდა გავერთიანდეთ, რაც მართლა გადაგვარჩენს. 1989-90 წლებში კომუნისტური რეჟიმი, გარკვეულწილად, აგონიაში იმყოფებოდა. გაურკვეველი იყო, რა მოხდებოდა, გლობალური პროცესები მიმდინარეობდა. ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასა და საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ოპონენტად ჰყავდა, მართალია კაციჭამიებისა და ანტიადამიანური სისტემის მემკვიდრეები, მაგრამ დღევანდელ „ნაციონალურ“ რეჟიმთან შედარებით, ისინი უფრო ნეობოლშევიკები და ნეოლიბერალები აღმოჩნდნენ. ის სისტემა უკვე სულს ღაფავდა. ისტორიას თავისი დაკვეთა, თავისი წესები, თავისი კანონზომიერება აქვს და, გარკვეული თვალსაზრისით, კომუნისტები უკვე დიდწილად განიარაღებულები იყვნენ სიბოროტისაგან, თავაშვებულობისაგან. გარკვეულწილად, სუპერცივილიზაციას წარმოადგენდნენ. ეროვნული მოძრაობის დიდი ზეწოლაც იყო ერთ-ერთი ფაქტორი, მაგრამ ძირითადად, კომუნისტური სისტემა წაგებაზე იყო აგებული. არა მარტო მარშალის გეგმებმა, არამედ სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობა მაშინდელი ცივილიზებული ცვლილებები.

***— დღეს საქართველოში არსებული რეჟიმი წაგებაზე არ არის ორიენტირებული?***

— იდეაში, დღევანდელი რეჟიმი, რა თქმა უნდა, წაგებაზეა, მაგრამ კბილებით იცავს, ვითომდა თავის მონაპოვარს, რომელიც სინამდვილეში რაღაც ქიმერა და გაუგებარი რამაა. ეროვნული მოძრაობის გამარჯვება აღიარეს კომუნისტური რეჟიმის წარმომადგენლებმა. ჩვენი გამარჯვების აღიარება, ლეგიტიმაცია დაადასტურა კომუნისტურმა პარტიამ და თვით ბატონმა გივი გუმბარიძემ. მათ შეეძლოთ საბოტაჟი მოეხდინათ, შეეძლოთ დიდი წინააღმდეგობები გაეწიათ.

***— შემდგომში იყო საბოტაჟიც და წინააღმდეგობებიც.***

— მაშინვე შეეძლოთ წინააღმდეგობების გამოწვევა. რა თქმა უნდა, შემდგომში კომუნისტური ვენდეტა ამა თუ იმ ფორმით განხორციელდა (მოგეხსენებათ, რევანშიზმის დახვეწილი ფორმებია), მაგრამ მე ვსაუბრობ ხელისუფლების გადაცემის ლეგიტიმურ, კონსტიტუციურ გზაზე. დღევანდელ რეჟიმთან შედარებით, კომუნისტები არა მარტო ლიბერალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ, არამედ სახელმწიფოებრივად მოაზროვნენიც. თვით გივი გუმბარიძის მეთაურობით კომუნისტურმა უმაღლესმა საბჭომ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია აღიარა. გასაგებია, რომ შევარდნაძესა და კომპარტიას უნდოდათ, ეროვნული მოძრაობისთვის, გარკვეულწილად, იდეა გამოეტაცათ, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. ისტორიული თვალსაზრისით, სწორად მოიქცნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ზეწოლით. კომუნისტური რეჟიმი დღევანდელ რეჟიმთან შედარებით გაცილებით კონსტრუქციული აღმოჩნდა.

***— ამას რატომ ამბობთ, ოქტომბერში არჩევნებს რომ წააგებენ, ადამიანურად და კონსტრუქციულად არ დათმობენ ძალაუფლებას?***

— იმედი არ მაქვს, რომ ნაციონალები კონსტრუქციულად წავლენ (ნეტავ ვცდებოდე). ისინი თითოეულ ფეხის ნაბიჯზე, დაწყებული ოპოზიციასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობით, სისტემისადმი დამოკიდებულებით, ყველანაირი ასპექტით, ყველანაირი თვალსაზრისით, ყველა ფრონტზე დგამენ ანტიადამიანურ, გამაოგნებელ, ირაციონალურ ნაბიჯებს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. ნაციონალებს წინასწარ ვაფრთხილებ, ხელისუფლების შენარჩუნება ამ სიტუაციაში ძალიან რთული იქნება. ჩემი აზრით, დაიწყო ისეთი პროცესები, რომელიც ერის გამთლიანებისკენ, ფუნდამენტალური, ძირითადი, სრულფასოვანი, ეროვნული თანხმობისკენაა მიმართული. რასაც ამ ბოლო დროს ვხედავ საზოგადოებაში.

***— როცა ეროვნულ თანხმობაზე საუბრობთ, ამის იმედს რა გაძლევთ? საკაშვილის დროსაც იყო ეროვნულ თანხმობაზე საუბარი.***

— მაშინ, რევოლუციის გარდა, თვითონ ოპოზიციასაც ჰქონდა ფუნდამენტალურად მძიმე შეცდომები დაშვებული. ამერიკის პოზიცია იყო ძალიან ერთპიროვნული — რაც არ უნდა მომხდარიყო, ბუშის ადმინისტრაცია საკაშვილის რეჟიმს დაუჭერდა მხარს, რაც დაამტკიცა კიდევაც — ხმები წესიერად არ იყო დათვლილი, როცა საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე, რატომღაც წინასწარ გამოაცხადეს გამარჯვებული. გარდა ამისა, ქართულ პოლიტიკაში საკმაოდ ძლიერი მოთამაშე შემოვიდა ბიძინა ივანიშვილის სახით. განსაკუთრებით ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილი სახალხო ეროვნულ ლიდერად ყალიბდება. ამის თქმა უკვე შეიძლება გორის აქციისა და სვანეთის თავყრილობების შემდეგ.

***— რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?***

— მთავარი პრობლემა ამ ქვეყანაში არის არა მხოლოდ ცუდი ეკონომიკური, სოციალური პირობები, რომლის მოუგვარებლობა დროში კატასტროფას გამოიწვევს, არამედ უმთავრესია ადამიანისთვის ღირსების აღდგენა. ეს უნდა მოხდეს ფუნდამენტალურ, ძირძველ ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით, რაც ბიძინა ივანიშვილმა ძალიან გასაგებად, ძალიან მარტივად განაცხადა. პირდაპირ ვიტყვი, ეს არის, ფაქტობრივად, მერაბ კოსტავას გზა. ეს არის მოყვასის სიყვარულის, დაკარგული მეობის ხელახლა პოვნის გზა, ერთმანეთთან მისასვლელი გზების ძიება მარტივი, გასაგები, ადამიანური სახით. ამ ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემა, ადამიანის, ერის თანხმობა და გაერთიანებაა. ერი ამ იდეებს თუ ვერ მოაწესრიგებს, ის ვერასოდეს გამთლიანდება. ეს სწორი გზაა. მისასალმებელია, რომ ამას კიდევ დაემატა ის სწორი ხედვები, რომელიც ჩადებულია ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებში, რაც არის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი. ყოველ შემთხვევაში, გზა არის სწორი.

***— ადრე საკაშვილი ოპოზიციას გაფარჩაკებულს უწოდებდა. 2008 წელს რომ გააყალბა და ვითომ გაიმარჯვა, აცხადებდა, თითქოს არ უნდოდა ენახა ოპოზიცია მარგინალური სახით. ამ დროს თვითონ ცდილობდა, გაემარგინალებინა. სვანეთში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ოპონენტი რომ არ გყავდეს, ქუჩაში უნდა გახვიდე და მოძებნო, რათა შეცდომები გაგისწოროსო. თქვენ როგორ აღიქვით მისი განცხადებები?***

— ასეთი მიდგომა უმნიშვნელოვანესია. ბიძინა ივანიშვილმა ფილარმონიაში განაცხადა, რომ ეროვნული თანხმობის მიღწევა უმთავრესია, დარღვეული დროთა კავშირის აღდგენა აუცილებელია, ანუ იყო გადატრიალებები, დაპირისპირებები (მათ შორის, კონსტიტუციურიც) და ვერც ერთმა ხელისუფლებამ ესტაფეტა ვერ გადასცა სახელმწიფოებრივად გამარჯვებულ პარტიას. ნორმალური, გაუყალბებელი არჩევნების გზით არ მომხდარა ხელისუფლების გადაცემა. ამიტომ ეს იყო ძალიან უმნიშვნელოვანესი განცხადება. თუმცა, ამ თემაზე სჯა-ბაასი და მისი რეალიზაცია ცოტა მინელდა. ალბათ, დრო ამას აუცილებლად ამოატივტივებს. შემდეგ ამ ადამიანმა განაცხადა, როცა გავიმარჯვებ, რამდენიმე წელი მჭირდება, შევქმნი მთავრობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას გავმართავ და შემდეგ პირველი პირის პოსტს დავტოვებ, გავდგები გვერდზე და გავაძლიერებ იმ ძალებს, რომელიც ოპოზიციაში ჩაუდგება ჩემივე მოყვანილ მთავრობასო. ეს მაშინვე რევოლუციური განცხადება იყო ჩვენი მენტალიტეტისთვის, ჩვენი პოლიტიკური ვითარებისთვის.

***— სადაც ვერ თმობენ ძალაუფლებასა და სკამს.***

— დიახ. ათწლეულების განმავლობაში ეს შევარდნაძემაც დაამტკიცა თავისი „ბრძნული“ მოღვაწეობით და საკაშვილმაც. ეს მენტალიტეტი არის ამოსაძირკვი და გადასალახი. ის მენტალიტეტი, რასაც ამკვიდრებს ბიძინა ივანიშვილი, დემოკრატიული საწყისების მაჩვენებელია. ამას რა გაგრძელება ექნება, თქმა ძალიან რთულია, ჩვენ, უბრალოდ, დამკვირვებლები უნდა ვიყოთ და უნდა მოვთხოვოთ მისი განხორციელება. მესამე უმნიშვნელოვანესი მომენტია ის, რომ შევარდნაძისა და საკაშვილისაგან განსხვავებით (რომლებიც ამბობენ, მაცალეთ, მაცალეთო) აცხადებს, როგორც კი მოვალთ ხელისუფლებაში, ლეგიტიმური და კონსტიტუციური უფლება გაქვთ, მთავრობას მოსთხოვოთ საქმის კეთება და არ გვაცალოთო, ანუ ამ კაცმა უკანდასახევი პოლიტიკური და კონიუნქტურული გზები ჩახერგა. ასეთ ვითარებაში ცუდი მუშაობის პოლიტიკურ ვითარებაზე გადაბრალება ხდება ხოლმე, ეს არის მისასალმებელი. ბიძინა ივანიშვილის სვანეთში გამოსვლა, ფაქტობრივად, ამ ყველაფრის გაგრძელება და იმის კონკრეტიზაციაა, რომ ეს ადამიანი შემდეგ უნდა იყოს სახელმწიფო. ეს არის სელექცია. სწორი მოდელი, სწორი მსოფლმხედველობა. კადრების სწორი შერჩევა უნდა მოახდინოს, უნდა შეკრას ერთიანი გუნდი, განსხვავებული აზრისადმი და ოპონენტისადმი უნდა იყო კონსტრუქციული და ლიბერალური. ეს იყო ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პასაჟი. თუ როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი, ამას დრო გვაჩვენებს. თუმცა, გარკვეული პრობლემები არის.



***— თქვენ რა პრობლემებს ხედავთ?***

— ოპოზიციას ფუნდამენტალური პრობლემა აქვს. აუცილებელია შეიქმნას ერთიანი ფრონტი. ყველა უნდა გაერთიანდეს არსებული რეჟიმის უმტკივნეულოდ გასასტუმრებლად.

***— არსებობენ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ურთიერთქიშპობენ და მათი გაერთიანება შეუძლებელი ჩანს. მაგალითად, ლეიბორისტული პარტია არავისთან გაერთიანებას არ აპირებს.***

— გაერთიანება, ალბათ, შეუძლებელი იქნება. თვითონ ოპოზიციაშიც ისეთი დაპირისპირებებია, მაგრამ ვისაც კი აქვს ერთმანეთის აღიარების უნარი, პოლიტიკური თანაარსებობის პრინციპების აღიარება შეუძლია (ნათელაშვილი თუ არ აღიარებს ივანიშვილს, ხოლო ივანიშვილი — ნათელაშვილს, ოპოზიციური პარტიების თანაარსებობის აღიარება არ მოხდება). ვინც ამ რეჟიმის დემონტაჟისთვის იბრძვის და დიდ მსხვერპლს გაიღებს, დიდ თავგანწირვაზე წავა, გარკვეულწილად, ერთმანეთთან კოორდინაციის რეჟიმში მაინც უნდა იმყოფებოდნენ. რაც უფრო მეტი პარტიები გამოვლენ საარჩევნო პერიოდში მყარი კავშირით, ერთიანი ფრონტით და საარჩევნო უბნებზე აიღებენ პასუხისმგებლობას, გამარჯვება მით უფრო გარანტირებული იქნება. აჭარის მაგალითი წინ გვიდევს. როდესაც თურქეთთან გადამწყვეტი ბრძოლის ჟამი დადგა, კომუნისტები, მუსლიმანური აჭარის წარმომადგენლები და ეროვნული სამხედრო ძალები ერთად იბრძოდნენ. ამაზე მეტი რა უთანხმოება აქვთ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს? თვითონ სამშობლო ისეთი საკრალური ცნებაა, რომელიც შეუძლებელსაც გაგაკეთებინებს. ამ შემთხვევაში თურქეთთან ბრძოლის მომენტში ეს იყო და გაიმარჯვეს.

# ინგა გრიგოლია: სააკაშვილი საკუთარი თავის ოპოზიციაშია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბის განმავლობაში აფინანსებდი და ფინანსურად უმაგრებდი ზურგს ამ ხელისუფლებას და ყველა იმ პროცესს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ლიდერობდა. ჩვენ არ გვაქვს არანაირი ტანჯვები, ვინც რა უნდა ის თქვას. ჩვენ ჩართული ვართ წინასაარჩევნო პროცესში და ვფიქრობთ, რომ ამ არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა აჩვენებს ძალიან კარგ შედეგს. რა თქმა უნდა, ეს ვერ იქნება უმრავლესობა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ძალიან გავლენიანი ფრაქცია პარლამენტში.

***— თუკი ვერ მოხვალთ უმრავლესობით, მაშინ რა აზრი აქვს ბრძოლას?***

— ამ კითხვაზე მაქვს ასეთი პასუხი, რომ ამ ქვეყანას ღუპავენ ერთპარტიული მმართველები. ღუპავს დიდი დოზით მოსული პარტიული უმრავლესობა და ამ ქვეყანას სჭირდება პოლიტიკურ ძალთა ისეთი ბალანსი, როცა ვერც ერთი და ვერც მეორე მხარე, ვინც არ უნდა მოიგოს ეს არჩევნები, თავის თავს ველარ მისცეს იმის უფლება, რისი უფლებაც ნაციონალურმა მოძრაობამ აძლია ამდენი წლის განმავლობაში. როცა ვამბობ, რომ ჩვენ ვიქნებით ანგარიშგასაწევი ფრაქცია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დავაბალანსებთ იმ მიმართულებებს, რომელიც ამა თუ იმ ძალას უმრავლესობაში მოსვლის შემდეგ მიმართულებების კვალდაკვალ ბერკეტები აქვს ხოლმე ხელში.

***— გამოკითხვებს თუ ვენდობით, საუბარია, რომ მხოლოდ სამი სუბიექტი შევა პარლამენტში: ნაცმოძრაობა, ქართული ოცნება და თქვენ... როგორია თქვენი დამოკიდებულება?***

— რეალურად, ყოველგვარი გამოკითხვების მიხედვით, არის დღეს შანსი, რომ პარლამენტში შევიდეს სამი პოლიტიკური ძალა: ოცნება, ქრისტიან-დემოკრატები და ნაცმოძრაობა. ჩვენ ვხედავთ, როგორ მიდის ამ სამი სუბიექტის საარჩევნო კამპანია. დანარჩენი პარტიები პარტიული რესურსის მობილიზებას ვერ ახდენენ. ძირითადად დანარჩენი პოლიტიკური პარტიების ლიდერების განცხადებებს ჩვენ ვისმენთ ხოლმე ოფისებიდან ტრიბუნიდან. სამი პარტიაა, რომელსაც აქვს ხალხმრავალი შეხვედრები, ეს სწორედ ზემოთ ნახსენები პარტიებია. ესეც უკვე ერთგვარი ტესტია და მაჩვენებელია სიტუაციისა. ჩვენ არც ერთი განცხადება ოფისიდან არ გაგვიკეთებია. ჯერჯერობით მე არ დამინახავს, რომ რომელიმე სხვა პარტიას აქვს საკუთარი რესურსის მობილიზების თავი. ამიტომ ვფიქრობ მეც, რომ მომავალ პარლამენტში იქნება სამი ძალა. არის იმის შანსი, რომ მომავალ პარლამენტში ოპოზიცია უფრო დიდი დოზით აღმოჩნდეს, ვიდრე ხელისუფლება, ამ შემთხვევაში ოცნება და ჩვენ.

***— იქ თუ მაინც იქნება შესაძლებელი თქვენი თანამშრომლობა?***

— გამომდინარე იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილმა მოსვლის პირველივე დღიდან გაავლო სადერმაკაციო ხაზი ქრისტიან-დემოკრატებთან, ჩვენ არანაირ თანამშრომლობას არც განვიხილავთ და არც ვაპირებთ. თუმცა, თავისთავად ის ფაქტი, რომ ოპოზიცია იქნება უფრო დიდი დოზით წარმოდგენილი, ვიდრე ხელისუფლება, უკვე არის პოლიტიკური გამარჯვების შანსი, იმიტომ რომ როდესაც პრეზიდენტი, რომელსაც ჯერ კიდევ ერთი წელი ექნება დარჩენილი ვადის ამოწურვამდე, იქნება პრეზიდენტი და მისი პარტია არ იქნება უმრავლესობაში, ეს უკვე ფაქტობრივად ნიშნავს, რომ სააკაშვილი წავიდა ხელისუფლებიდან. მე ვიტოვებ იმის იმედს, რომ თანამშრომლობა მთელ რიგ საკითხებზე, რომელიც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რა თქმა უნდა შედგება, მაგრამ, როგორც ასეთი< ღია თანამშრომლობა გამორიცხულია. შეიძლება პოლიტიკოსი უფრო პრაგმატულად უნდა აზროვნებდეს და თქვას, რომ არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ ჩემთვის პირადად ძალიან ძნელად წარმოსადგენია, როდესაც ვიღაც გლანძღავს, იარლიყებს გაწებებს და მერე მასთან თანამშრომლობა შედგეს.

***— გუშინ თქვენ კახეთში გქონდათ შეხვედრები. ამბობენ, რომ ხელისუფლება ამ დაზარალებული ხალხის ხარჯზე ცდილობს ქულების დაწერას...***

— რა თქმა უნდა, ხელისუფლება ამას ნამდვილად ცდილობს. კახეთში მართლაც ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა. ჩვენ პირველივე დღიდან იქ ჩავდიოდით და ხალხთან გვქონდა ურთიერთობა. ხელისუფლება ყოველთვის შეეცდება, ქულები დაიწეროს, სააკაშვილი ყველაფრისგან ქულების დაწერას ცდილობს. თუმცა იქ იმხელა სტიქიური უბედურება მოხდა, რომ ყველა ხელისუფალი ვალდებული იქნებოდა, ხალხს დახმარებოდა. დღეს მთავარი ისაა, ამ ხალხზე რამდენად აისახება ხელისუფლების ეს პიარკამპანია, თუნდაც რაც ჩატარდა კახეთში. იქ მართლაც მძიმე სიტუაციაა და მე ვფიქრობ, რომ კახეთი პოლიტიკისთვის არავინ უნდა გამოიყენოს. ეს ცოტა ამორალურად მეჩვენება, იმიტომ რომ იქ იმდენი ატირებული გლეხი ვნახეთ, იმდენი განადგურებული ოჯახი, სულიერად თუ მატერიალურად, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არა აქვს უფლება, პოლიტიკური ქულების დასაწერად გამოიყენოს ამ ხალხის უბედურება. ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ ჩართული ამ ხალხის პრობლემის მოგვარებაში. ძალიან ვწუხდი, როცა მე პირადად ჩავდიოდი და ასევე ჩვენი პარტიის წევრები, რომ ერთი პურის მიტანა არ შემეძლო ამ ხალხისთვის, იმიტომ რომ იდიოტიზმია, როდესაც დაყადაღებითა და რაღაცა სანქციებით გვემუქრებიან, თუკი შენ ამ ხალხს თუნდაც ერთი ტომარა ფქვილით დაეხმარები. როცა ქვეყანაში ასეთი ფორსმაჟორია, მე ვფიქრობ, რომ ყოველგვარი სანქციები უნდა მოიხსნას და იგივე ივანიშვილთან მიმართებით ჩახსნილი უნდა ყოფილიყო ყველანაირი სამართლებრივი მექანიზმი და ხელისუფლებას ეს უნდა მიეღო, როგორც მისგან წამოსული ჩვეულებრივი დახმარება. თუმცა ჩვენ ვხედავთ იმასაც, რომ ყველა მხარე ცდილობს, კახეთის პრობლემა თავისი პოლიტიკისთვის გამოიყენოს.

# სანდრო ბრეგვაძე: ჩვენ არავის ვუპირისპირდებით“

ნონა ცაბაძე



## ინტერვიუ მოძრაობა ეროვნულების ერთ-ერთ ლიდერ სანდრო ბრეგვაძესთან

***– ბატონო სანდრო, ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრს საუბრობენ თქვენი და რესპუბლიკელების დაპირისპირების შესახებ. საუბარია, რომ ირაკლი ალასანიამ შეგნებულად შეგიყვანათ ქართულ ოცნებაში, რათა დაუპირისპირდეთ რესპუბლიკურ პარტიას. რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ინფორმაცია?***

– მე ვაკვირდები და ვრწმუნდები, რაოდენ შეშინებულები არიან ხელისუფლების ე.წ. სუპერლიდერისტული ნაწილი იმითი, რომ მოძრაობა ეროვნულები ქართულ ოცნებასთან გაერთიანდა. ეს არის სამთავრობო საინფორმაციო საშუალებებით აგორებული პიარი, რომლის მიზანიც არის, როგორმე მცირე არეულობა მაინც შემოიტანონ ოპოზიციის რიგებში. ერთხელ და სამუდამოდ მინდა განვაცხადო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, ადამიანებს, რომლებისთვისაც ძვირფასი არის ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიერ დატოვებული იდეოლოგიური ბაზისი, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვართ ერთ აზრზე რესპუბლიკურ პარტიასთან მთელ რიგ საკითხებში. ანუ ჩვენ არ გვაქვს იდენტური მოსაზრებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიზნის მისაღწევად ჩვენ არ ვითანამშრომლებთ თუნდაც განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკურ ძალებთან. მე არსად მომითხოვია და არც არასდროს არ მოვითხოვ, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ არ უნდა იარსებოს. პირიქით, მე ვთვლი, რომ რესპუბლიკური პარტიის მსგავსი პოლიტიკური მიმდინარეობის ძალა, საქართველოში უნდა არსებობდეს და მომავალშიც უნდა იარსებოს, რათა მოსახლეობას მუდმივად ჰქონდეს ფართო არჩევანი, თუ ვის უნდა დაუჭიროს მხარი. ის ხმები, რომ მე და ირაკლი ალასანია რაღაცას ვგეგმავთ რესპუბლიკელების წინააღმდეგ, ან რესპუბლიკელები გეგმავენ ჩვენს წინააღმდეგ, ეს არის თავიდან ბოლომდე დიდი სისულელე, რომელ სისულელეზეც პასუხის გაცემა ელემენტარულად იმ ადამიანების წისქვილზე დაასხამს წყალს, რომელთა მიზანიც არის ოპოზიციის შიგნით არეულობის შემოტანა. არავინ არავის არ უპირისპირდება, უბრალოდ, მე გამოვთქვი შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში უმჯობესი იქნება, რომ რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთმა წევრმა თავი შეიკავოს თავისი მოსაზრებებისა და კრიტიკული განცხადებებისგან ზვიად გამსახურდიასთან მიმართებაში. იმიტომ, რომ ეს არ ასხავს ოპოზიციის გამარჯვების წისქვილზე წყალს. პირიქით, ეს აძლიერებს, განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობაში სერიოზულ ეჭვებს ოპოზიციის ქმედებებთან დაკავშირებით. თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ სამეგრელოს მოსახლეობის 80% თუ არა, მეტი გახლავთ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი. ესენი არიან გმირი ხალხი, რომლებმაც შემოინახეს საქართველოში კანონიერება და ბოლომდე დაიცვეს კანონიერი ხელისუფლება. სამეგრელო არის პოლიტიკურად ყველაზე აქტიური კუთხე და პოლიტიკურად ყველაზე გათვითცნობიერებული ხალხი იქ ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გარკვეული სიფრთხილე გვმართებს, როდესაც ასეთ განცხადებებს ვაკეთებთ. დაპირისპირებაზე საუბარი კი, ეს არის მტკნარი სიცრუე. ეს არის ხელისუფლების სურვილი, რომელიც მათ სურთ, რომ რეალობად აქციონ.

***– რამდენად გამოუვათ?***

– ჩვენი მხრიდან ამას ვერ აქცევენ რეალობად, ხოლო სხვისი მხრიდან, ეს არ ვიცი, რა იქნება და როგორ იქნება. ჩვენი მხრიდან წინასაარჩევნოდ რაიმე სახის დაპირისპირება გამორიცხულია, თუ ვინმემ სერიოზული შეურაცხყოფა არ მოგვაყენა.

***– რაც შეეხება ირაკლი ალასანიასთან თქვენს ურთიერთობებს? როგორია ეს ურთიერთობები?***

– არაფერი ისეთი, ეს არის პირადი მეგობრული ურთიერთობა, დასამალი ამაში არაფერია. აგრეთვე გვაქვს პარტნიორული ურთიერთობაც. ეს პარტნიორული ურთიერთობა არა მარტო ირაკლი ალასანიასთან, არამედ არის სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან, რომლებიც ქართულ ოცნებაში არიან გაერთიანებულები. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჩვენ გვაქვს ირაკლი ალასანიასთან. იმიტომ, რომ ირაკლი ალასანიამ ჩვენდა საბედნიეროდ მოახერხა ყველაზე მეტი იმ კუთხით, რასაც ჰქვია ეროვნული შერიგების კუთხე. ეს არის საკმაოდ ძნელი მისია და ირაკლი ალასანიამ და ჩვენ, ერთობლივი ძალებით, სამეგრელოში საკმაოდ სერიოზული გარღვევები მოვახდინეთ. ეს გარღვევები მეტყველებს იმაზეც, რომ დღესდღეობით ოპოზიციის რეიტინგი სამეგრელოს რეგიონში ბევრად უფრო მეტი არის, ვიდრე ეს იყო ორი, სამი თუ ექვსი თვის წინ. იქ შიში გატეხილია და სერიოზული სამუშაოებია ჩატარებული. ვიღაცას სურს, რომ ჩვენ წარმოგვადგინოს ვითომდა ნაციონალისტები, არაფერიც, ჩვენ ვართ კონსერვატიული იდეების მატარებელი ადამიანები, დაახლოებით ისეთები, როგორებიც არიან ინგლისელი კონსერვატორები, სწორედ ასეთია ალასანია და მისი გუნდი და, რასაკვირველია, ჩვენ შორის ურთიერთობა ბევრად უფრო ადვილად ხერხდება, ვიდრე ულტრამემარცხენეებთან ან ულტრამემარჯვენეებთან.

***– ხელისუფლების ბოლოდროინდელ ნაბიჯებს როგორ შეაფასებდით?***

– ეს არის სრული ისტერია. ძალიან მაინტერესებს, როდემდე უყურებს ამას ცივილიზებული მსოფლიო. როდემდე უყურებს ამას დასავლეთის ქვეყნები?! როდემდე არ ამოიღებენ ისინი ხმას იმ უკანონო ქმედებებზე, რომელსაც სჩადის ეს ხელისუფლება? ისინი აყადაღებენ ყველას, ყველაფერს, ადამიანების დაყადაღებაც რომ შეეძლოთ, ალბათ, იმათაც დააყადაღებდნენ. არის სრული ქაოსი, რომელი ქაოსიც კარგის მომტანი არ არის. ხელისუფლებას ისევ და ისევ ჩვენი უცხოელი პარტნიორები თუ გამოაფხიზლებენ, იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ნაკლებად არიან ადამიანები, ან საერთოდ არ არიან, რომლებსაც საღი აზრი აქვთ შემორჩენილი. ჩვენ ისევ უცხოელი პარტნიორების იმედი უნდა გვქონდეს, რადგან რეალური ბატონ-პატრონები არსებული ხელისუფლებისა სწორედ ისინი არიან. მათ უნდა მიუთითონ არსებულ ხელისუფლებას ის, რომ ნუ მიდიან ისინი კადაფიზაციის გზით, რადგან ეს საქართველოში არ გამოუვათ და ეს დააყენებს მძიმე შედეგებს ისევ და ისევ ხელისუფლებისთვის. ხელისუფლებისთვის ძალიან ძნელი აღსაქმელია, რომ მათი დამარცხების დასაწყისი დაწყებულია და მათი დამარცხება გარდაუვალია. ადამიანი ყველაფერს ეგუება და ისინიც უნდა შეეგუონ ამას. მათთვისვე იქნება უკეთესი, თუ ისინი ანალოგიურ არაკანონიერ ქმედებებს აღარ განახორციელებენ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, თუ ოპოზიციამ და ქართულმა ოცნებამ თავად არ დაუშვა შეცდომები, ანუ თავად არ გაიტანა საკუთარ კარში გოლი, ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს ოპოზიციის გამარჯვებას საპარლამენტო არჩევნებში.

***– შეცდომის დაშვებაში რას გულისხმობთ?***

– ხშირად არის ხოლმე, რომ ესა თუ ის პოლიტიკური ძალა უშვებს შეცდომებს. ახლა არ შემიძლია ვთქვა ეს შეცდომები, მაგრამ ალბათობას განვიხილავ იმისას, რომ თუ შეცდომები არ იქნა დაშვებული, ეს გამარჯვება ხელისგულზე ჩანს. მთავარი შეცდომა იქნება ერთიანობის დარღვევა და იმ ოპოზიციური პარტიების არათანაბრად გადანაწილება და არათანაბარ პირობებში ჩაყენება, რომლებიც ოპოზიციურ ფლანგზე არიან. ასევე შიდა ინტრიგები. ხელისუფლება მუდმივად ეცდება, რომ შიდა ინტრიგები წარმოშვას, შიდა კონკურენცია. აი, მაგალითად, მე სხვას ვერაფერს ვეძახი ამ არჩევნების წინ ზვიად გამსახურდიას გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ინსპირირებული ხელისუფლების მიერ.

***– რაში ჭირდებათ ეს?***

– იმისთვის, რომ მომხდარიყო ჩვენი დაჯახება სხვა რომელიმე პოლიტიკურ გუნდთან, რომელიც დღეს ოპოზიციაშია. მე ვთხოვ ყველა ოპოზიციონერს, თავი შეიკავონ აღნიშნული განცხადებებისგან, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბევრი რამ არ მოგვწონს, თავს ვიკავებთ განცხადების გაკეთებისაგან. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ჩვენ გვთხოვა, თავი შეგვეკავებინა და მასთან დადებულ პირობას თავიდან ბოლომდე ვასრულებთ. თუკი ისინი გამოვლენ და 24 საათის განმავლობაში ჩვენი პირველი პრეზიდენტის გინებას დაიწყებს, მაშინ ჩვენ ველარ გავჩერდებით.

***– ყველასთვის ცნობილია, რომ ეს განცხადება რესპუბლიკელების მხრიდან გაკეთდა, გამოდის, რომ ეს მიზანმიმართულად ხდება?***

– მე არ ვიტყვი, რომ ეს მიზანმიმართულად ხდება და რომ ხელისუფლებიდან ვიღაცამ ვიღაცას დაავალა, შენ გინდა თუ არა, ასეთი რაღაცა თქვიო. ხშირ შემთხვევაში ეს არის ხოლმე ინსპირირებული და პაატა ზაქარეიშვილიც წამოგებულია ანკესზე. თუ ჩვენ შორის მოხდა სერიოზული დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ამით მხოლოდ ხელისუფლება იხეირებს. ჩვენ ამას ვსაზღვრავთ ძალიან კარგად და ალბათ აკვირდებით, რაოდენ დელიკატური ვარ მე და რამდენად ვცდილობ შეფასებებში. დღეს ჩვენ გვაქვს ერთი მთავარი მიზანი, ეს არის რეჟიმის ცვლილება, ხოლო შემდგომში ის საკითხები, რომელი საკითხებიც გასარკვევია, აუცილებლად გაირკვევა. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა რომ ეროვნული გმირები არიან, ამაზე ორი აზრი არ არსებობს და სხვა რამის მტკიცება, უბრალოდ, არის სასაცილო.

***– ფაქტია, რომ ვიღაცა ცდილობს განხეთქილების შეტანას...***

– ეს არის პირველი მცდელობა და ეს კიდევ გაგრძელდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

***– ივანიშვილმა რა პოზიცია დააფიქსირა ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, მე გეტყვით, როგორიც არის, მან განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია გახლავთ მისი საყვარელი პრეზიდენტი, რომ ზვიადი გახლავთ საქართველოსთვის თავშეწირული რაინდი. აი, ეს არის, რაც ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი ბატონი ბიძინასგან. დანარჩენი მის გარემოცვაში ვინ რას ლაპარაკობს, ეს ნაკლებად საინტერესოა. თუკი ისინი საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ, გამოდის, რომ ივანიშვილის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ და არა ჩემს საწინააღმდეგოს. ამ ყველაფერს ხელისუფლებისგან შეგზავნილი აგენტურა აკეთებს, იმიტომ, რომ მათ იციან ჩვენი უდიდესი ძალა. ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარი სახსრების გარეშე სამიათასკაციანი ყრილობა ჩავატარეთ ერთ კვირაში და მთელს საქართველოს დავანახეთ რამდენად დიდია ჩვენი პოტენციალი. დღეს ჩვენ გვაბრალებენ ქსენოფობობას და ცდილობენ ამ პროცესებს ჩამოგვაცილონ. ქსენოფობობას აბრალებდნენ ზვიად გამსახურდიას და საქართველო ქართველებისთვის ეს არის მისი ლოზუნგიო. ერთი შემთხვევაც კი არ არსებობს, სადაც ზვიად გამსახურდიას ასეთი რამ ეთქვას. ასევე ერთი გამოსვლა ჩემი, ჩემი მეგობრებისაც არ არის დაფიქსირებული, სადაც ჩვენ ქსენოფობიურ გამონათქვამებს ვამბობდით. პირიქით, ხმამაღლა ვაცხადებთ, ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და რომელიც საქართველოსთვის იბრძვის, მე ვფიქრობ, ის ბევრად უფრო დიდი ქართველია, ვიდრე სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი, შევარდნაძე, ფილიპე მახარაძე და სხვები. ამას გარდა, მოძრაობა ეროვნულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლავთ ეთნიკურად არაქართული წარმომავლობის, ბატონი დავით სოკოლოვი. ჩვენთან ასევე ბევრი აზერბაიჯანელები და სომხები არიან წარმოდგენილები და როდესაც ქსენოფობობის დაბრალებას ცდილობს ვიღაცა, ეს თავიდან ბოლომდე დავალებაა ხელისუფლების მხრიდან, რომ როგორმე არეულობა შემოიტანოს ოპოზიციის რიგებში. ბუნებაში არ არსებობს, რომ ან ზვიად გამსახურდიას, ან მის მომხრეებს სადმე გამოეთქვათ ქსენოფობიური გამონათქვამები. ეს ლოზუნგი -საქართველო ქართველებისთვის, გამოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიტინგზე, რომელსაც გია ჭანტურია ხელმძღვანელობდა თავის დროზე, რისი დიდი წინააღმდეგიც ზვიადი იყო. თუმცა, რუსეთმა ეს ზვიადის მიაწერა იმისთვის, რომ მის წინააღმდეგ შავი პიარი ყოფილიყო.

## „ახალი მემარჯვენეები“ სამტრედიაში ხიდის აშენებას ითხოვენ

„ახალი მემარჯვენეების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ლევან ბუაძე სამტრედიაში ხიდის აშენებას ითხოვს. ამის შესახებ მან სამტრედიის ადმინისტრაციის შენობის წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ბუაძის თქმით, სამტრედიის რაიონის მოსახლეობას საკუთარი მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად დღეში 60 კილომეტრის გავლა უწევს, ხშირად კი, ფერმერები მდინარის გადალახვისას სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ. „ახლების“ მაჟორიტარობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის მოგვარება ხიდის აგებით შეიძლება.

ბუაძის თქმით, დიდ ჯიხაიშში, ეწერში, იანეთში, მელაურსა და ახალსოფელში მცხოვრები 4 000 კომლი 16 წელია საკუთარი მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად დღეში 60 კილომეტრს გადის და მდინარე რიონზე ბორანით გადადის. მისი თქმით, რამდენიმე ადამიანი უამინდობისას დატვირთული ბორანიდან გადმოვარდა და დაიღუპა.

მაჟორიტარობის კანდიდატის თქმით, დიდი მანძილის გავლის აუცილებლობა მოსახლეობას ხარჯებს უზრდის და მიღებული მოსავლის თვითღირებულებას აათმაგებს.

„ახალი მემარჯვენეები“ ხიდის ასაშენებელი თანხის გამოყოფას რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან მოითხოვენ.

ნიუსპრესი

## ზნაურის რაიონში იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში, ზნაურის რაიონის სოფელ მუგუტში იარაღის სამალავი აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „რესი“ ავრცელებს.

სააგენტოს ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში რუსეთის უშიშროების სამსახურის მესაზღვრეებმა შეტყობინება მიიღეს, რომ სოფელ მუგუტში ნაპოვნია იარაღი და საბრძოლო მასალა.

სამალავში აღმოჩენილია საბრძოლო მასალები, ყუმბარა, ნაღმი და დეტონატორი.

საბრძოლო მასალები სამალავიდან უსაფრთხო ადგილზე უკვე გადატანილია.

ნიუსპრესი



## ჩიორა თაქთაქიშვილი: ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ არჩევნები სამართლიანი იყოს და ამომრჩეველმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც ქვეყნის მიერ არჩეულ კურსს გააგრძელებს.

ამის შესახებ „ნიუსპრესს“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, უმრავლესობის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო არჩევნების თარიღის გამოცხადების შეფასებისას განუცხადა.

„1-ელი ოქტომბერი იქნება კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ საქართველო დემოკრატიული თვალსაზრისით ვითარდება, რომ ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდება“ – აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

მისივე შეფასებით, საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გასცენ პასუხი რომელ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება და ასევე, პასუხი იმის, თუ რა კურსით უნდა განვითარდეს ქვეყანა.

„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არჩევნები სამართლიანი იყოს და ამომრჩეველმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც ქვეყნის მიერ არჩეულ კურსს გააგრძელებს და რომლის მიზანიც დასაქმების პრობლემის მოგვარება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სოფლის მეურნეობის განვითარება იქნება“ – აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებას, მმართველი პარტიის წევრის თქმით, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კამპანია დღეიდან დაიწყო.

ამასთან, „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ აკონკრეტებენ პარტიის პროპორციული და მაჟორიტარული სიები როდის გახდება ცნობილი. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, საპარლამენტო არჩევნები 1-ელ ოქტომბერს ჩატარდება.

ნიუსპრესი

## სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა იწყება

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევა დღეიდან იწყება და მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება გამოიცა, რომლის თანახმადაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ დანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1 450 წვევამდელით განისაზღვრა.

ასევე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვის სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1 300 წვევამდელით, ხოლო თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 6 772 წვევამდელია.

ამასთან, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში 18-დან 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები იქნებიან გაწვეულები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

საქართველოში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ბრძანებულების ძალაში შესვლის დღიდან ვალდებული არიან გამოცხადდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურში (საცხოვრებელი) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

ბრძანებულებაში ასევე ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა აღმოუჩინოს დახმარება ადგილებზე თვითმმართველ ერთეულებს, ხოლო ქალაქ თბილისში რაიონის შესაბამის ორგანოებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს კოორდინაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევს

ნიუსპრესი

# ჩახვაძე მეხილეებს გამოესარჩლა

**თამარ ნინიძე**

ნაციონალურმა მოძრაობამ ცოტა ხნის წინ ახალი ინიციატივა გაახმოვანა, რომელმაც მეხილეობის პრობლემა ნაწილობრივ მაინც უნდა მოაგვაროს, ნაციონალების აზრით, მაცივრები ხილის შენახვის პრობლემას გადაჭრის. იმავე საკითხზე საუბრობენ ქრისტიან-დემოკრატები.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ამ თემაზე საუბარი ეროვნულ-დემოკრატებმაც მოისურვეს. გურამ ჩახვაძის განცხადებით, პარტიის საარჩევნო პროგრამაში სოფლის მეურნეობას წამყვანი პოზიცია აქვს, რადგან ძლიერი სოფლის გარეშე ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო წარმოუდგენელია.

ჩახვაძის აზრით, გლეხობისთვის გადაულახავ სირთულედ იქცა როგორც მოსავლის მოყვანა, საწვავზე, სასუქზე, სარწყავ წყალზე კრედიტებზე მაღალი ფასები, ასევე მოწეული პროდუქციის შენახვა და მისი რეალიზაცია ისეთ ფასებში, რომელიც უზრუნველყოფს გლეხური მეურნეობის მომგებიანობას. ედპ-ს მიაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, კერძოდ, მეხილეობის საბიუჯეტო პროგრამით.

ამ პროგრამით თითოეული გლეხური მეურნეობა სახელმწიფოსგან მიიღებს ფინანსურ დახმარებას ყოველ კილოგრამ ხილზე, რითიც კომპენსირებული იქნება მის მიერ ხილის გაყიდვისას წარმოშობილი ზარალი ბაზარზე არსებული დაბალი ფასების გამო. ამგვარი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება როგორც გლეხური მეურნეობების შემოსავლების სტაბილურობა და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა იმპორტულთან შედა-



რებით, ასევე დაცული იქნება ხილის მომხმარებელი რიგითი მოქალაქეების საოჯახო ბიუჯეტები ფასების მატებისგან.

გურამ ჩახვაძის ინფორმაციით, გასულ წელს 190 ათასი ტონა ხილის მოწევა მოხერხდა, აქედან 64 ათასი ტონა ვაშლი იყო, 54 ათასი ციტრუსი და სხვა ხილი. გლეხი მიზერულ ფასად ერთ ყუთ ვაშლს ორ ლარად აბარებს სახელმწიფოს.

„ამ დროს გლეხებს აღებული აქვთ კრედიტები, ვალს ვერ აბრუნებენ და კოტრდებიან. სახელმწიფო ისევე უნდა დაეხმაროს მეხილეობის მცირე გლეხურ მეურნეობებს, როგორც ეხმარება მევენახეებს“, – მიაჩნია ჩახვაძეს.

# რუსეთი საქართველოს საზღვრებთან ჯარებს უყრის თავს

**თეა მარხვაიძე**

**ძალიან მალე რუსეთი საქართველოს საზღვრებთან სამხედრო წვრთნებს დაიწყებს. „კავკაზ 2012“ რუსებმა 2 წლის წინ დააანონსეს. ეს ამბავი ჩვენმა ხელისუფლებამ 2 წლის წინაც შეიცხადა. შარშანდელს მერე კი უფრო აღშფოთებულები არიან. ოფიციალური თბილისი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ეს წვრთნები საქართველოში ჩასატარებელ არჩევნებს საეჭვოდ დაამთხვიეს. რუსებმა ჩვენი პროტესტი არად ჩააგდეს. არც საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთებამ შეაწუხა კრემლი. წვრთნები აუცილებლად ჩატარდება.**

ასეთი მასშტაბური წვრთნები ჩვენთან 2008 წლის ავადსახსენებელ ზაფხულშიც ჩატარდა. მაშინ ყველაფერი ომით დამთავრდა. ახლა საქმეს ასეთი პირი არ უჩანს. თუმცა, ვინ იცის. ძნელი გამოსაცნობია, რა უდევს რუსს გუნებაში.

ქართველი ექსპერტების განმარტებით, რუსებმა საქართველოს საზღვრებთან ძალების არნახული მობილიზება დაიწყეს.

ექსპერტთა კლუბის ცნობით, „სასწავლო ამოცანების შესრულების მიზნით“ ხმელთაშუა ზღვაში იმყოფება რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის შენაერთი, რომელიც მალე გეზს შავი ზღვისაკენ აიღებს და შემოდგომისათვის დაგეგმილ მასშტაბურ წვრთნებში „კავკაზ 2012“-ში მიიღებს მონაწილეობას.

– ეს არის რუსეთის ფედერაციის მიერ სამხედრო ძალების საქართველოს საზღვრებთან ახლოს მობილიზაციის კიდევ ერთი უპრეცედენტო მაგალითი ქვეყანაში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, რასთან დაკავშირებითაც თბილისსა და დასავლეთში რუსეთის მხრიდან აგრესიის განმეორებაზე საუბრობენ, – მიაჩნიათ ექსპერტებს.

„კავკაზ 2012“-ში მონაწილეობის მისაღებად შავ ზღვაში სამხედრო საზღვაო ძალების შენაერთების გადმოსროლის თაობაზე სიტყვა დასცდა რუსეთის დასავლეთის სამხედრო ოლქს უფლებადამცველი ორგანიზაციის „სანკტ-პეტერბურგის ჯარისკაცის დედები“-თვის პასუხის გაცემის დროს. კერძოდ, მეზღვაურის დედამ, რომლის შვილიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის სევასტოპოლში, განაცხადა, რომ მისი შვილი თავის სამ პეტერბურგელ ამხანაგთან ერთად რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის გემით გაგზავნილ იქნა სირიის ნაპირებთან საბრძოლო მორიგეობისათვის. რის შემდეგაც დასავლეთის ოლქის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ რუსეთის ძალები ხმელთაშუა ზღვაში არ ასრულებენ საბრძოლო დავალებას და სირიის ნაპირებიდან შორს იმყოფებიან.

– უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს კრემლთან და ლუბიანკასთან დაახლოებულ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზაციებში აქტიურად მუსირებს აზრი რუსეთის საქართველოზე თავდასხმის შესაძლებლობის თაობაზე მოსკოვის მიერ სამხრეთ კავკასიაზე სრული კონტროლის დასამყარებლად, რის საბაბადაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ქართული ტერიტორიის გავლით სომხეთის ქ.გიუმრში განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზასთან „დერეფნის შექმნის“ აუცილებლობა. ეს აქცია განიხილება დასავლეთის სირიის კონფლიქტში შესაძლო ჩარევის ან ირანის წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარების კონტექსტში, – ამბობენ ექსპერტები.

მათი თქმით, სამხრეთის სამხედრო ოლქი წარმოადგენს რუსეთის ყველაზე მსხვილ სამხედრო შენაერთს და მთელ კავკასიის რეგიონს მოიცავს. მიუხედავად ამისა, „კავკაზ 2012“-ის სამხედრო სწავლებებში მონაწილეობის მიღების საბაბით სამხედრო ნაწილების გადმოსროლა სხვა ოლქებიდანაც ხორციელდება. კერძოდ, რუსული მედია-საშუალებების მონაცემებით, დასავლეთის ოლქიდან ამ სწავლებებში ჩართულია მოსკოვთან ახლო მდებარე მე-5 მო-



ტომსროლელთა ბრიგადა; ცენტრალური ოლქიდან – სამარასთან ახლოს დისლოცირებული 23-ე მოტომსროლელთა ბრიგადა.

„კავკაზ 2012“-ს ბევრი უცხოელი ექსპერტი გამოეხმაურა. ამ წვრთნებზე სხვადასხვა გამოცემებიც აქტიურად წერენ. რამდენიმე თვეს ჯუშორა კუცერამ გამოაქვეყნა წერილი. „ევრასიანეტის“ მიმომხილველი მიიჩნევს, რომ რუსეთის წვრთნები კავკასიაში: მოსკოვი აშშ-ისრაელის მხრიდან ირანზე შესაძლო დარტყმისთვის ემზადება.

ჟურნალისტ ჯოშუა კუცერას აზრით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთში, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე დაგეგმილი მანევრების პროგრამას რუსეთი აშშ-ისრაელის მხრიდან ირანის წინააღმდეგ შესაძლო ომის გათვალისწინებით ამუშავებს.

– წვრთნები „კავკასია – 2012“ სექტემბერში ჩატარდება და არა ოპერატიულ-ტაქტიკური, არამედ სტრატეგიული ხასიათის იქნება (ამოცანების დამუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ ყველა სახის შეიარაღებული ძალები, არამედ სხვა ძალოვანი სტრუქტურებიც). გარდა ამისა, ამ წვრთნებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები. ის, რომ მანევრების მიმდინარეობის დროს ერთ-ერთი მიზანი დაზვერვის, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის და არმიისთვის ზურგის უზრუნველყოფის

ღონისძიებათა დამუშავებაა, იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ რუსეთი მანევრების პროგრამას აშშ-ისრაელის მხრიდან ირანის წინააღმდეგ შესაძლო ომის გათვალისწინებით ამუშავებს, – ნათქვამია სტატიაში.

ამასთან, კუცერას წვრთნებთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მკაცრი პოზიცია მოჰყავს და წერს, რომ ოფიციალური თბილისის შეფასებით, რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაჩქარებულ მილიტარიზაციას, ავითარებს სამხედრო ინფრასტრუქტურას და იქ შეტევითი ხასიათის შეიარაღება შეაქვს.

„საერთაშორისო თანამეგობრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა არ შეცვლილა. ის განაგრძობს აგრესიულ ქმედებებს, მათ შორის სამხედრო ძალის დემონსტრირებას და პროვოკაციებს. რუსეთი დესტაბილიზაციის და ნეგატიური მოვლენების წყაროა საერთაშორისო არენაზე“, – მოჰყავს ციტატა გამოცემას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებიდან.


# sauketeso integrirebuli da samomxmareblo internet bankisaTvis

## თიბისი ბანკი ჟურნალმა Global Finance დააჯილდოვა

ჟურნალმა Global Finance მსოფლიოში საუკეთესო ინტერნეტ ბანკებს შორის ქართული ბანკი წელს პირველად დაასახელა. ჟიურის გადაწყვეტილებით, თიბისი ბანკი დაჯილდოვდა ერთდროულად ორ ნომინაციაში: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით როგორც ,,საუკეთესო ინტეგრირებული სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი“, ხოლო საქართველოს მასშტაბით, როგორც ,,საუკეთესო სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი“.

გამარჯვებული ბანკები შეირჩა ინტერნეტ ბანკის ფუნქციონალურობის, დიზაინის და ინტერნეტ მომხმარებლის მოზიდვის სტრატეგიის ეფექტურობის მიხედვით.



,,რეგიონალური აღიარება მნიშვნელოვანი წარმატება და კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი სტრატეგიული მიზნისკენ - გვქონდეს რეგიონში საუკეთესო ინტერნეტ ბანკი“, -აცხადებს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე.

თიბისი ბანკთან ერთად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში გამარჯვეს: CITI Bank - საუკეთესო ვებ დიზაინისა და გადასახადების სისტემისთვის, OTP Bank - საუკეთესო მობაილ ბანკისა და სოციალურ მედიაში ჩართულობისთვის, და Bank Millennium - საუკეთესო ონლაინ სადეპოზიტო, საკრედიტო და საინვესტიციო პროდუქტებისთვის.

2012 წელს ეს მეოთხე ჯილდოა თიბისისთვის. ბანკმა უკვე მიიღო სამი წამყვანი გამომცემლობის Global Finance, EMEA Finance da Euromoney-ის ჯილდოები ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო ბანკის ნომინაციებში.


# ხელისუფლებამ ,,ალია ჰოლდინგის“ მოკვლა გადაწყვიტა“

,,ალია ჰოლდინგი“ დღეს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ჰოლდინგს მსახიობ ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 ათასი ლარის ჯარიმა დაეკისრა, უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

როგორც ,,მედიანიუსს“ ,,ალია ჰოლდინგის“ ერთ-ერთმა რედაქტორმა დიმიტრი ტიკარაძემ განუცხადა, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ,,ხელისუფლებამ ,,ალია“ პრაქტიკულად მოკლა“.

,,სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ,,ალიას“ განადგურებას ნიშნავს. ამ თანხის გადახდის შემთხვევაში ,,ალია“ უბრალოდ აღარ იარსებებს. ხელისუფლებამ ეტყობა ,,ალიას“ რაღაცეები არ აპატია, მათ შორის ის კრიტიკული სტატიები, რასაც ,,ალია“ ბოლო პერიოდში აქვეყნებს და ამის გამო მიიღო ეს გადაწყვეტილება. თავისთავად სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, ხელისუფლების გადაწყვეტილებად უნდა განვიხილოთ, რადგან ქვეყანაში მოსამართლეების ნაცვლად, ამგვარ გადაწყვეტილებებს ერთი ადამიანი-მიხეილ სააკაშვილი ღებულობს“-აღნიშნა ტიკარაძემ და დასძინა, რომ ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ ,,ალიასთან“ ბრძოლა დაიწყო.

,,სააპელაციოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრებთ“-აცხადებს ტიკარაძე.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საქართველოს სააპელაციო სასამართლომ ,,ალია ჰოლდინგს“ მსახიობ ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

,,ალია ჰოლდინგმა“ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ერთი თვის ვადაში უნდა აღასრულოს.

ცნობისთვის: საქმე ,,ალია ჰოლდინგში“ შემავალ გაზეთ ,,ქრონიკის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს ეხება, სადაც მსახიობი ოთარ კობერიძე პედოფილიასა და ბავშვების გარყვნაში იყო დადანაშაულებული.

*მედიანიუსი*

# სოზარ სუბარი: სააკაშვილმა არჩევნები ოქტომბრის პირველ კვირა დღეს განგებ არ დანიშნა“

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველი ოქტომბრისთვის დანიშვნა კოალიცია „ქართული ოცნების“ გეგმებს არ ცვლის.

როგორც „მედიანიუსს“ კოალიციის საარჩევნო შტაბის წევრმა სოზარ სუბარმა განუცხადა, „ქართული ოცნება“ არჩევნებისათვის დღესაც მზად არის.

მისივე თქმით, ბოლო წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, არჩევნების შედარებით ადრე, პირველ ოქტომბერს დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია.

„სააკაშვილს რაც შეიძლება მალე სურს არჩევნების ჩატარება იმისათვის, რომ ოპონენტებს მომზადებისთვის რაც შეიძლება ნაკლები დრო დაუტოვოს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს, რადგან ჩვენ არჩევნებისთვის ყველანაირად მზად ვართ. მეორე, სააკაშვილს ხარჯებში პრობლემები აქვს, ყოველი დღე მისთვის დამატებითი ხარჯია და ცდილობს, რაც შეიძლება მოკლე დროში ჩატიოს ეს საარჩევნო კამპანია“, – განაცხადა სუბარმა და დასძინა, რომ სააკაშვილმა არჩევნები ოქტომბრის პირველ კვირა დღეს განგებ არ დანიშნა, რადგან კვირა 7 ოქტომბერს ემთხვევა.

„7 ჩვენი კოალიციის საარჩევნო ციფრია... თუ გახსოვთ, 2006 წლის თვითმართველობის არჩევნების დროს, ჯერ კიდევ მაშინ როცა ოპოზიციასთან შედარებით „ნაციონალური მოძრაობა“ გაცილებით ძლიერი იყო, პარასკევს გამოაცხადეს არჩევნები და მხოლოდ ორშაბათს გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეში... ანუ ოპოზიციურ პარტიებს მაშინ სამი დღეც კი მოპარა სააკაშვილმა იმისათვის, რომ უკეთ მომზადებულიყვნენ: პარასკევი შაბათი და კვირა. ეს არის სააკაშვილის მეთოდი. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. 1 ოქტომბრამდე ყოველი დღე გაწერილი გვაქვს“, – განაცხადა სუბარმა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები პირველ ოქტომბერს, ორშაბათს ჩატარდება.

*მედიანიუსი*

# დავით გურამიშვილს უკრაინაში გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

4 აგვისტოს უკრაინაში ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს გაიხსენებენ. ღონისძიების ორგანიზატორი სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიაა“, ასევე ქალაქ მირგოროდის დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. პროექტს კი მხარს უჭერენ საქართველოს საელჩო უკრაინაში და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

4 აგვისტოს დაგეგმილი ღონისძიებები დავით გურამიშვილის 220 წლისთავს, ასევე მის შემოქმედებას და მოღვაწეობას ეძღვნება. დაგეგმილია დავით გურამიშვილის სახელობის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის ფასადზე მემორიალური დაფის გახსნა როგორც ქართულ, ასევე უკრაინულ ენებზე, ქართველი ფოტოგრაფის შალვა ლონდარიძის ფოტოგამოფენა, სამოქალაქო პანაშვიდის გადახდა დავით გურამიშვილის საფლავზე, კონცერტი მირგოროდის ცენტრალურ მოედანზე, რომელშიც ქართველი შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას.

ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა. პოეტი ლეკებმა შეიპყრეს, თუმცა ის ტყვეობიდან გაიპარა, მოსკოვში ჩავიდა და ვახტანგ მეექვსეს შეეფარა. ქართველი მეფის გარშემო შეკრებილ ქართველობასთან ერთად დავით გურამიშვილი ინტენსიურ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. ეს წლები მისთვის ნაყოფიერი გამოდგა. თუმცა, ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, ემიგრანტებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, მათ შექმნეს ქართველ ჰუსართა ასეული, რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა და მამულები მიიღეს რუსეთის სხვადასხვა პროვინციაში, მეტწილად უკრაინაში. დავით გურამიშვილის ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა უკრაინასა და ქართველ ჰუსართა პოლკს. მან მამული მიიღო სამხრეთ უკრაინაში – მირგოროდსა და ზუბოვკაში. ქართველი პოეტი მონაწილეობდა ოსმალეთის, შვედეთისა და პრუსიის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში. პრუსიასთან შვიდწლიან ომში პოეტი ტყვედ ჩავარდა და მაგდებურგის ციხეში იჯდა. სენისგან დაუძლურებულმა პოეტმა თავი დაანება სამხედრო სამსახურს და თავის ახალგაზრდა მეუღლესთან ტატიანა ავალიშვილთან ერთად საბოლოოდ დამკვიდრდა უკრაინაში. დავით გურამიშვილმა სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო და სიცოცხლის დარჩენილი წლები უკრაინაში გაატარა. პოეტი აქტიურად მონაწილეობდა უკრაინის ქართული ახალშენის ცხოვრებაში. დავით გურამიშვილი მირგოროდში გარდაიცვალა, ის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოშია დაკრძალული. რაც შეეხება მის შემოქმედებას, მწერალმა თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობას თავი მოუყარა ერთ კრებულში და საკუთარი ხელით გადაწერილი „დავითიანი“ პოტიომკინის კარზე მყოფ მირიან ბატონიშვილს გამოატანა საქართველოში, რითაც ზნეობრივი ვალი მოიხადა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წინაშე. გურამიშვილის პოეტურმა მემკვიდრეობამ სწორედ ამ ერთადერთი ავტობიოგრაფიული კრებულის სახით მოაღწია. ამ კრებულში, ლირიკულ ლექსებთან ერთად, ორი პოემაა შესული. მის მიერ დაწერილი „ქართლის ჭირი“ იმ დროინდელ საქართველოს აცოცხლებს, რომელშიც ჩართულია პოეტის ტრაგიკული ბიოგრაფიაც. არანაკლებ პოპულარულია საზოგადოებაში მისი „სწავლა მოსწავლეთა“, რომლითაც პოეტს იმის თქმა სურდა, რომ ქვეყნის ხსნის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება სწავლა-განათლების აღორძინებაა. დავით გურამიშვილი ქართული პოეზიის მამამთავრად შოთა რუსთაველს აღიარებდა. ძველ ქართულ პოეზიაში ქართველი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი ისე არავის წარმოუსახავს, როგორც გურამიშვილს. ქართველი პოეტი თავისებური ხელწერით XIX საუკუნის ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთ წინამორბედადაა მიჩნეული. მისი პოეტური კრებული მრავალჯერაა გამოცემული. „დავითიანი“ მთლიანადაა თარგმნილი რუსულ და უკრაინულ ენებზე. ცალკეული თხზულებანი კი თარგმნილია რამდენიმე სხვა უცხოურ ენაზეც.



მირგოროდში დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზატორები საპატიო სტუმრებს საქართველოდან ელიან. მათ უკრაინაში მიიწვიეს საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“ თბილისიდან და „ცოტნე დადიანის დარბაზის“ გუნდი ზუგდიდიდან. ღონისძიებას ასევე დაესწრებიან საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებათა წარმომადგენლები, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელისა“ და სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“ პრეზიდენტი ბესიკ შამუგია, ქართველი და უკრაინელი მწერლები, ქალაქ მირგოროდისა და პოლტავის რეგიონის ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლები.

– 4 აგვისტოს დაგეგმილი ღონისძიებები სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილი მირგოროდში მდებარე დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიმართება, სადაც ორკესტრი შეასრულებს ქართულ და უკრაინულ მელოდიებს. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“ კი წარმოადგენს ორი ქვეყნის – საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნებს. საღამოს წამყვანი შეკრებილ საზოგადოებას წაუკითხავს მირგოროდელი პოეტის ლექსს დავით გურამიშვილზე, დაგეგმილია მირგოროდის დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექტორის დიდენკოს სიტყვით გამოსვლა, რომლის შემდეგაც საპატიო სტუმრები გახსნიან მემორიალურ დაფას ქართულ და უკრაინულ ენებზე, პატივს მიაგებენ დავით გურამიშვილის ხსოვნას და ყვავილებით შეამკობენ დავით გურამიშვილის ძეგლს. ღონისძიების მეორე ნაწილში საზოგადოება გაიცნობს მირგოროდის პირველმოსახლე ქართველთა შთამომავალს, შედგება პრეზენტაცია წიგნისა „ქართველები უკრაინაში – დავით გურამიშვილის ბილიკებით“, რომლის ავტორია მეცნიერი როზსოხა. ღონისძიების ფარგლებში შეკრებილი საზოგადოება გაიცნობს დავით გურამიშვილის მუზეუმის პირველი დირექტორის შვილიშვილს მარგარიტა ოლეინიკ-ლოკაის, საკუთარ სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს კომიშნიანის სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე რუსლანა კოლომატჩენკო, რომელიც მეცნიერებათა მცირე აკადემიის წევრია. დავით გურამიშვილის შემოქმედებაზე ისაუბრებს მუზეუმთან არსებული ლიტერატურული გაერთიანება „დიესლოვოს“ ხელმძღვანელიც, მოეწყობა დავით გურამიშვილის ქუჩაზე მცხოვრებთა გამოსვლა, ღონისძიების საპატიო სტუმრები დააჯილდოებენ სამხატვრო კონკურსში „ბავშვების თვალით დანახული საქართველო“ გამარჯვებულებს, რის შემდეგაც საქართველოს დელეგაციის წევრების სიტყვით გამოვლენ, გაიხსნება ქართველი ფოტოგრაფის შალვა ლონდარიძის ფოტოგამოფენა. ღონისძიების მესამე და დასკვნითი ნაწილი კი პოეტის საფლავთან ჩატარდება. ხსოვნის საღამოს მონაწილეები დავით გურამიშვილის ძეგლს ყვავილებით შეამკობენ, დაგეგმილია დავით გურამიშვილის თანამემამულეთა სიტყვით გამოსვლა, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და გაიმართება ფურშეტი მუზეუმის შენობაში. მირგოროდის ცენტრალურ მოედანზე მოეწყობა დიდი სცენა, სადაც ქართველ შემსრულებელთა ორსაათიანი კონცერტი ჩატარდება ქალაქის სტუმრებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამ საღამოში ასევე მონაწილეობას მიიღებენ კიევის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „იბერიელი“, რომლის ხელმძღვანელია უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მაკა ლომსაძე, – განაცხადა უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელისა“ და სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“ პრეზიდენტმა ბესიკ შამუგიამ.

# მინის თეატრმა სეზონი დახურა

ეკა ირემაშვილი

მინის თეატრმა, რომლის დამაარსებელიც რეჟისორი რეზო შატაკიშვილია, სეზონი დახურა. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე მინის თეატრმა სპექტაკლის პრემიერა გამართა. მაყურებელმა იხილა ჯონ ოსბორნის სახელგანთქმული პიესა „მოიხედე მრისხანების ჟამს“. სპექტაკლი დაიდგა ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით, სპექტაკლი კი რეჟისორმა რეზო შატაკიშვილმა განახორციელა. ის რობერტ სტურუას მაგისტრანტია და სპექტაკლებს ძირითადად რუსთაველის თეატრში დგამს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ იოსებ მგალობლიშვილი, მედეა ახალაძე, გიორგი იარაჯული, ანა ურიდია და სოსო ხაინდრავა.

– დღეს როდესაც მოდად დამკვიდრდა სხვადასხვა ხრიკ-ტრიუკებითა და სხეულის სიშიშვლით მაყურებლის მიზიდვა, ჩვენ გვინდა მაყურებელს, თუნდაც ალტერნატივის სახით, შევთავაზოთ სულის გაშიშვლების პროცესი – ადამიანის სულის გაშიშვლება – „სულის სტრიპტიზის“ განხორციელება, ადამიანის მრისხანების ანატომირება სცენური საშუალებებით. გვსურს დავაფიქროთ მაყურებელი იმაზე, თუ რა განაპირობებს თანამედროვე ახალგაზრდობის, ადამიანის მრისხანებასა და საერთოდ რა ხდება ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანების სულებში, აღძრას სურვილი იმისა, რომ გაუცხოებული, მხოლოდ საკუთარ ჭირითა და ლხინით დაინტერესებული ადამიანი დაინტერესდეს მეორე ადამიანით. სპექტაკლის მიზანს წარმოადგენდა ჩვენება იმისა, თუ სადამდე მიჰყავს საზოგადოება და ინდივიდი ულმერთობას, როგორ რჩება ლაგამამოუდებლად ადამიანთა ეგოიზმი, რომელიც იღებს უკიდურეს ფორმებს, სამყაროს ხდის იმგვარს, სადაც ადამიანი უმწეოა, უსუსურია, რწმენაგამოცლილია, დაუცველია სხვათა ეგოისტური ზრახვების დაუნდობლად განხორციელების უთავბოლო ქარიშხალში. სიყვარულს იმდენად აქვს ნირი შეცვლილი, რომ აღარ ძალუძს მტრობით დანგრეულის შენება – დესტრუქციული, ადამიანის დასაღუპად მომართული საზოგადოების კონსტრუქციულ, ჯანსაღ საზოგადოებად ქცევა, სადაც სანატრებელი არაა ადამიანური აღტაცების ხილვა (როგორც ნატრობს პიესის გმირი) და სადაც ადამიანები არ არიან გაუცხოებულნი. სწორედ აღნიშნული მიზეზები განაპირობებს შედეგს – განრისხებულ ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია უნარი სიყვარულის და სწორედ სიყვარულია ის ერთადერთი ბერკეტი, რომელსაც ძალუძს ულმერთობისგან, უკონტროლო ეგოიზმისგან მიძინებული სინდისის გამოღვიძება. გამოღვიძებული სინდისი, თავის მხრივ, ადამიანს უბიძგებს სიკეთისკენ, იმისკენ, რომ საკუთარი ბედნიერება არ ააგოს სხვათა უბედურებაზე. ჩვენი მიზანი გახლდათ, ოსბორნის ტექსტით მოგვეყოლა ჩვენზე – ჩვენს ტკივილებსა და მრისხანებაზე, – განაცხადა სპექტაკლის რეჟისორმა რეზო შატაკიშვილმა.

ახალგაზრდა რეჟისორი და მინის თეატრის ხელმძღვანელი რეზო შატაკიშვილი თავის პროფესიას სხვადასხვა ქვეყანაში სტუმრობით და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობით იღრმავებს. ივნისში ქართველი რეჟისორი ამსტერდამის თეატრალური სკოლების საერთაშორისო ფეს-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# უჩა ლობჟანიძე: მოედანზე უზომოდ ემოციური ვარ

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „კრივბასის" მარჯვენა მცველი უჩა ლობჟანიძე უკრაინის ჩემპიონატში დონეცკის „შახტართან" მატჩის შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ კრივოიროგელებმა ეს მატჩი წააგეს – 0:1.

ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– „შახტართან" მატჩი დიდხანს დარჩება ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებაში. რას იტყვი ამ თამაშის შესახებ?***

– ასეთი ძლიერი გუნდების წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. ეს საკუთარი თავის კარგი გამოცდაა. „შახტარი" თვითონაც თამაშობს და სხვებსაც აძლევს თამაშის საშუალებას. დონეცკელებთან თამაში საინტერესოა, მაგრამ მათი დამარცხება ძალიან ძნელია.

***– მიუხედავად ამისა, „კრივბასმა" დონეცკიდან კინაღამ ქულა წაიღო.***

– ცოტა არ გაგვიმართლა. კონცენტრაცია ოდნავ დავკარგეთ და ამისთვის დავისაჯეთ. ახლაც ვერ გამიგია, ფერნანდინიოს თვალყური როგორ ვერ მივადევნეთ.

***– „შახტართან" რიცხობრივად თანაბარი შემადგენლობებით თამაში რთულია?***

– თავდაპირველად იოლი იყო, ჩვენ ხომ მეტნი ვიყავით (შახტარს მე-15 წუთზე კუჩერი გაუძევეს). შემდეგ კი, ... რა უნდა ქნა?! იყო ბარათები, თუ არ იყო, ძნელი სათქმელია (შემდეგ კრივბასს ორი ფეხბურთელი გაუძევეს)... თამაში რთული გახდა. ჩემპიონი თავის მოედანზე თამაშობდა, თან მწვრთნელის დაბადების დღეს და კიდევ ერთი კაცით მეტი ჰყავდა. ჩვენი გულშემატკივრები ნუ დაგვძრახავენ, რომ მატჩის ბოლოს მხოლოდ ბურთს ვიგერიებდით. ჩვენს მდგომარეობაში „შახტარის" წინააღმდეგ სხვაგვარად ვერ ითამაშებდი. შეტევაში რომ წავსულიყავით, 4-5 გოლს გავუშვებდით.

***– როგორ შეაფასებთ გუნდის სტარტს მიმდინარე ჩემპიონატში?***

– არცთუ ცუდი სტარტი გამოგვივიდა. 6 ქულა დამსახურებულად მოვიპოვეთ. წინ რთული მატჩები გველის, მაგრამ გვსურს დავამტკიცოთ, რომ წარმატებული სტარტი შემთხვევითი არ ყოფილა.

***– განვლილ სეზონში ბევრი აღნიშნავდა, რომ „კრივბასის" მოთამაშეები მოედანზე დისციპლინით არ გამოირჩეოდნენ.***

– ყველას მაგივრად ვერ ვისაუბრებ. საკუთარ თავზე შემიძლია ვთქვა, რომ მოედანზე უზომოდ ემოციური ვარ. მით უმეტეს, იცით, რომ ქართველები ცხელსისხლიანები არიან. თავს ყოველთვის ვერ ვაკონტროლებ და ამიტომ, მსაჯისგან გაფრთხილებას ვიღებ. დამიჯერეთ, ნებისმიერ ასეთ შემთხვევას განვიცდი, რადგან ამ დროს ხომ გუნდს ვაყენებ რთულ მდგომარეობაში.

***– მიმდინარე ჩემპიონატში ყვითელი ბარათის მიღება უკვე მოასწარით.***

– დიახ, ოდესის „ჩერნომორეცთან" მატჩში. კვლავ ემოციები. მანამდე იყო მომენტი, როდესაც მსაჯს შეეძლო გავეძევებინე. „ჩერნომორეცის" ფეხბურთელმა პაშაევის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა და კიდევ რაღაცას ამბობდა. თავი ვერ შევიკავე და ხელი ვკარი, მგონი, კისერში მოვარტყი.

***– ეს ფაქტი სატელევიზიო რეპორტაჟშიც მოხვდა.***

– მართლა? უხერხულია, მთელმა ქვეყანამ ნახა. ჩემმა ოდესელმა კოლეგამ გულში ცუდი არაფერი ჩაიდოს, რადგან მზად ვარ, ბოდიში მოვუხადო. ის ისეთივე ფეხბურთელია, როგორიც მე ვარ. ფულს ფეხბურთის თამაშით შოულობს. საქართველოში თუ ჩამოვა, სუფრას გავუშლი და საუკეთესო მეგობრები ვიქნებით. მეტოქეობას მხოლოდ მოედანზე გავუწევთ ერთმანეთს.

***– ბოლო პერიოდში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ხშირად გიწვევენ.***

– ნაკრებში ყოველთვის დიდი სიხარულით მივდივარ. ეროვნულ გუნდში თამაში ნებისმიერისთვის პატივია. ვიმედოვნებ, რომ მწვრთნელები ამჯერადაც გამომიძახებენ. ჩემი აზრით, „კრივბასში" თამაშით ვამტკიცებ, რომ საქართველოს ნაკრებში გამოძახების ღირსი ვარ.

# საქართველოს ნაკრებმა ტალინის ტურნირი ჩეხეთთან წაგებით დაასრულა

<u>ჩეხეთი – საქართველო 79:68</u>

(14:22, 20:12, 27:13, 18:21)

**ჩეხეთი:** ბენდა (8ქ,11მ), ბალვინი (7ქ), ჰრუბანი, იელინეკი (22ქ), კუდლაჩეკი (9ქ), გარნეჩკი, სვრდლიკი (9ქ), ჰოუსკა (10ქ), ჰამპლი (4ქ), ლიკარტოვსკი (10ქ)

**საქართველო:** ცინცაძე (6ქ), შერმადინი (4ქ), მარკოიშვილი (14ქ), სანიკიძე (7ქ,11მ), შენგელია (12ქ,11მ), ა.ბოისა, ფაცაცია, მეტრეველი (12ქ), მათიაშვილი (1ქ), პულენი (12ქ)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ტალინის ერთა თასზე მესამე მატჩი გამართა. იგორ კოკოშკოვის გუნდი ტურნირში მანამდე 2 მოგების მქონე ჩეხეთს შეხვდა, რომელთანაც 68:79 დამარცხდა. ქართველთა ნაკრებმა პირველ მატჩში მასპინძელ ესტონეთს შანსი არ დაუტოვა და 14 ქულის სხვაობით მოუგო, მომდევნო მატჩში კი ამერიკის კოლეჯების ნაკრებთან ორმაგ ოვერტაიმში – 124:129 დამარცხდა.

ჩეხეთთან მატჩი ქართველებმა კარგად დაიწყეს და პირველი მეოთხედი 8 ქულით – 22:14 მოიგეს. მეორე ათწუთეულში ჩეხებმა უკეთ ითამაშეს და ახლა მათ იმარჯვეს 8 ქულით, რის შემდეგაც, დიდი შესვენებისთვის თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა – 34:34.

მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გაირკვა, რომელიც ჩეხებმა 14 ქულით – 27:13 მოიგეს. საქართველოს ნაკრებმა თამაშის შემობრუნება ველარ მოახერხა და საბოლოოდ 11 ქულით დამარცხდა.

საქართველოს ნაკრებში ნატურალიზებულ კალათბურთელთაგან ამჯერად ჯეიკობ პულენმა ითამაშა, რომელმაც 24 წუთში 12 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. 12-12 ქულა ჰქონდათ თორნიკე შენგელიას და ნიკა მეტრეველსაც. ბომბარდირი კი წინა მატჩის მსგავსად მანუჩარ მარკოიშვილი გახდა 14 ქულით.

# თემურ ქეცბაია: დააფასეთ დილა

დღეს ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილა" კვიპროსულ „ანორთოსისს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, „დილა" ერთადერთი ქართული გუნდია, რომელიც ევროტურნირებს შემორჩა და ახლა მთელი ყურადღება მათზე გვაქვს გადატანილი.

თავის მხრივ, ვარჯიში გამართა „ანორთოსისმაც", რომელიც ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა საქართველოს დედაქალაქში და სასტუმრო „ბომონდ გარდენში" დაბინავდნენ.

დღევანდელ მატჩთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა გორელთა ნახევარმცველმა რომან ახალკაცმა:

– გუნდი უფრო მოტივირებულია მეორე ეტაპის გადალახვის შემდეგ. ვემზადებით ნაკრების ბაზაზე და ფეხბურთელებში კარგი განწყობაა. ვიცით, რომ ძალიან კარგი გუნდია, ჰყავს რამდენიმე ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი. ვფიქრობთ, რომ „ორჰუსზე" უკეთესი გუნდი იქნება, მაგრამ ჩვენ თავში ვართ დარწმუნებულები და იმედია, დავძლევთ ამ ბარიერს.

„ანორთოსისი" ჩვენთვის თემურ ქეცბაიასთან ასოცირდება, ვისაც კვიპროსულ კლუბში ძალიან წარმატებული სეზონები ჰქონდა როგორც ფეხბურთელსა და მწვრთნელს. ცხადია, კვიპროსელები მას არ ივიწყებენ და თავის თანამემამულე კლუბზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს.

**თემურ ქეცბაია:**

– ვფიქრობ, „ანორთოსისი" მეტოქეს თუ სათანადოდ არ დააფასებს, დაისჯება. „დილასა" და „ორჰუსის" ორივე მატჩი ვნახე. „დილა" რეკორდულად მოკლე დროში აწყობილი გუნდია, ექვსთვიან პერიოდში 10 ფეხბურთელი აიყვანა რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან. მოიგეს საქართველოს თასი. მათ ძალიან კარგი მატჩები ჩაატარეს. უნდა ითქვას, რომ „დილას" ფეხბურთელები საკმაოდ გამოცდილნი არიან, ნათამაშევი აქვთ სანაკრებო დონეზე. უშუალოდ „დილას", ევროტურნირების გამოცდილება არ აქვს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ ჰყავთ ძლიერი მოთამაშეები. საკმაოდ ძლიერია დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზი. თუმცა, არც „ორჰუსი" იყო იოლი მოწინააღმდეგე. ასე რომ, ვფიქრობ, „ანორთოსისს" სიფრთხილე და მეტოქის შესაძლებლობების დაფასება მართებს.

გეტყვით, რომ დილა-ანორთოსისი ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე დღეს, „მიხეილ მესხზე" 20:00 საათზე პირველ მატჩს გამართავენ, ხოლო 9 აგვისტოს, თამაშს ლარნაკა უმასპინძლებს.

# ჩინელები პოზიციებს არ თმობენ

**კიდევ ოთხი ქართველი ოლიმპიელი გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას – ძიუდოისტი ავთანდილ ჭრიკიშვილი, მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა, ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი და მოცურავე ირაკლი ბოლქვაძე.**

ძალიან საინტერესო ბრძოლა გაიმართა უიმბლდონის კორტებზე ანა ტატიშვილსა და რუს ნადია პეტროვას შორის. ქართველმა ჩოგბურთელმა ყველაფერი გააკეთა მეტოქის დასამარცხებლად, თუმცა ამის ძალა და საშუალება ბოლომდე არ ეყო. არადა, ტატიშვილმა იბრძოლა, იმაზე უკეთესი თამაში აჩვენა, რაც შეეძლო, მაგრამ...

პირველი სეტი ჩოგბურთელებმა თანაბრად დაიწყეს 2-2 მოწოდება მოიგეს, შემდეგ პეტროვამ ბრეიკი გააკეთა და საბოლოოდ, 6:3 იმარჯვა.

ანალოგიურად დაიწყო მეორე სეტიც – ისევ 2-2 საკუთარი მოწოდების შემდეგ პეტროვამ ჩვენებური დააბრეიკა, თუმცა ანამ იქვე აუღო სამაგიერო – 3:3.

ამის შემდეგ ორივემ თავიანთი მოწოდებები მოიგეს და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, არადა, ანას 3 სეტპოინტი ჰქონდა ჯერ კიდევ მატჩის მსვლელობისას, კიდევ ორი ტაი-ბრეიკზე და ბოლო-ბოლო საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა – 7:6.

მესამე სეტი ჩვენთვის კარგად დაიწყო – ანამ პირველივე ბრეიკი გააკეთა, თუმცა თავისი მოწოდება იქვე დათმო. ამის შემდეგ უპირატესობა ხელში რუსმა ჩოგბურთელმა ჩაიგდო, ამასთან, ანას დაღლა დაეტყო და პეტროვას საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებია – 2:6.

შეგახსენებთ, რომ დღეს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ 3-მა ქართველმა იასპარეზა.

ირაკლი ბოლქვაძე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მოცურავეა, რომელმაც თავისით მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია. 17 წლის სპორტსმენმა 200 მეტრზე ბრასის ყაიდის საკვალიფიკაციო გაცურვაში 2.15.89 შედეგი დააფიქსირა და თითქმის ნახევარი წამით გააუმჯობესა პირადი რეკორდი, თუმცა 16 საუკეთესოს შორის მოსახვედრად 4 წამზე მეტი დააკლდა. საბოლოოდ მან 34 მოცურავეს შორის 28-ე ადგილი დაიკავა.

ქრისტინე ესებუამ მძიმე სატურნირო ბადის პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა – 6:0 დაამარცხა ჩილელი მსოფლიოს ჩემპიონი დენისე ვან ლამოენი, რომელთანაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წაეგო, მაგრამ მეორე წრეში 2:6 დათმო მეორე ნომრად განთესილ ძლიერ სამხრეთკორეელთან სუნ-ჯინ ლისთან.

ერთადერთი, ვინც გაბრძოლება ვერ შეძლო, ძიუდოისტი ავთანდილ ჭრიკიშვილია, რომელმაც მხოლოდ ერთი ეტაპი გადალახა და მეორე წრეში ამერიკელ ტრევის სტივენსთან ისე ცუდად იჭიდავა, რომ კრიტიკა საზღვრებს ვერ ცდება. 21 წლის ავთანდილ ჭრიკიშვილმა 81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში პირველი წინაღობა წარმატებით დაძლია, ვაზარით დაამარცხა 10 წლით უფროსი ხორვატი ტომისლავ მარიანოვიჩი, მეორე ეტაპზე კი ამერიკელ ტრევის სტივენსთან დამარცხდა. ჭრიკიშვილს პირველივე ბრძოლაში ტუჩი გაუსკდა და ამერიკელთან შეხვედრაში რამდენჯერმე დასჭირდა სამედიცინო დახმარება. ძირითად 5 წუთში ვერც მან და ვერც სტივენსმა ილეთი ვერ გააკეთეს,



დამატებითი 3-წუთეულის ბოლოს კი ქართველი იპონით დამარცხდა.

31 ივლისს მედლების 15 კომპლექტი გათამაშდა და პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ორ მოწინავე ქვეყანას შორის სტატუს-ქვო შენარჩუნდა – ჩინეთი კვლავ ოთხი ოქროთი უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ნავსი გატეხა გერმანიის ძლიერმა და წარმომადგენლობითმა ნაკრებმა. გერმანელებმა ერთბაშად ორი ოქრო მოიპოვეს და ოლიმპიადის დაწყების დღიდან ათეულში პირველად შევიდნენ. რეალურად ეს ქვეყანა ხუთეულისთვის იბრძვის, სადაც ახლა ერთბაშად ორი კორეული ქვეყანაა – როგორც კაპიტალისტური სამხრეთი, ასევე კომუნისტური ჩრდილოეთი.

ოლიმპიადის გახსნიდან ოთხი დღის შემდეგ კვლავ ოქროს გარეშე რჩება მასპინძელი დიდი ბრიტანეთი, ავსტრალიას კი მხოლოდ ერთი ოქრო აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მის საფირმო სახეობაში – ცურვაში უკვე მედლების 12 კომპლექტი გათამაშდა.

კანოე. კანოე ერთეულები (კაცები) – 1. ტონი ესტენო (საფრანგეთი); 2. სიდერის ტასიადისი (გერმანია); 3. მიხალ მარტიკანი (სლოვენია)

წყალში ხტომა. 10 მ სინქრონი (ქალები) – 1. ჩინეთი; 2. მექსიკა; 3. კანადა

ცხენოსნობა. ინდივიდუალური კონკური – 1. მიხაელ იუნგი (გერმანია); 2. სარა ალგოტსონი (შვედეთი); 3 სანდრა აუფარტი (გერმანია)

ცხენოსნობა. გუნდური კონკური – 1. გერმანია; 2. ბრიტანეთი; 3. ა. ზელანდია

ფარიკაობა. ინდივიდუალური რაპირა (კაცები) – 1. შენ ლეი (ჩინეთი); 2. ალაალდინ აბულკასიმი (ეგვიპტე); 3. ბუნჩუი ჩოი (ს. კორეა)

მხატვრული ტანვარჯიში. გუნდური (ქალები) – 1. აშშ; 2. რუსეთი; 3. რუმინეთი

ძიუდო. 81 კგ (კაცები) – 1. ჯაებუმ კიმი (ს.კორეა); 2. ოლე ბიშოფი (გერმანია); 3. ივან ნიფონტოვი (რუსეთი); 3. ანტონი ვალუა-ფორტია (კანადა)

ძიუდო. 63 კგ (ქალები) – 1. ურსკა ზოლნირი (სლოვენია); 2. ლი ქსიუ (ჩინეთი); 3. იოში უენო (იაპონია); 3. ჟერვის ემანი (საფრანგეთი)

ტყვიის სროლა. სკიტი (კაცები) – 1. ვინსენტ ჰენკოკი (აშშ); 2. ანდრეს გოლდინგი (დანია); 3. ნასერ ალ ატიია (ყატარი)

ძალოსნობა. 69 კგ (კაცები) – 1. ქუნფენ ლინი (ჩინეთი); 2. ტრიანტო ტრიანტო (ინდონეზია); 3. რაზვან მარტინი (რუმინეთი)

ძალოსნობა. 63 კგ (ქალები) – 1. მაია მანეზა (ყაზახეთი); 2. სვეტლანა ცარუკაევა (რუსეთი); 3. კრისტინ ჟირარი (კანადა)

ცურვა. 200 მ თავისუფალი (ქალები) – 1. ელისონ შმიტი (აშშ); 2. კამილ მუფატი (საფრანგეთი); 3. ბრონტე ბარატი (ავსტრალია)

ცურვა. 200 მ კომპლექსური (ქალები) – 1. შივენ იე (ჩინეთი); 2. ალისია კუცი (ავსტრალია); 3. კეტრინ ლევერენცი (აშშ)

ცურვა. 200 მ ბატერფლაი (კაცები) – 1. ჩად ლე კლუა (ს. აფრიკა); 2. მაიკლ ფელპსი (აშშ); ტაკეში მაცუდა (იაპონია)

ცურვა. 4-200 თავისუფალი ესტაფეტა (კაცები) – 1. აშშ; 2.2 საფრანგეთი; 3. ჩინეთი

**მედლების დაფა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.ჩინეთი | 13 | 6 | 4 | 23 |
| 2.აშშ | 9 | 8 | 6 | 23 |
| 3.საფრანგეთი | 4 | 3 | 4 | 11 |
| 4.ს.კორეა | 3 | 2 | 3 | 8 |
| 5.ჩრ.კორეა | 3 | 0 | 1 | 4 |
| 6.ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 |
| 7.იტალია | 2 | 4 | 2 | 8 |
| 8.გერმანია | 2 | 3 | 1 | 6 |
| 9.რუსეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| 10.ს.აფრიკა | 2 | 0 | 9 | 2 |
| 11.იაპონია | 1 | 4 | 8 | 13 |
| 12.ავსტრალია | 1 | 3 | 2 | 6 |
| 13.რუმინეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| 14.ბრაზილია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 15.უნგრეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 16.ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 17.უკრაინა | 1 | 0 | 2 | 3 |
| 18.საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 |
| 19.ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20.სლოვენია | 1 | 0 | 0 | 1 |

# შედეგები

<u>**ფეხბურთი**</u>

**ოლიმპიური თამაშები**

**ქალები**

კანადა-შვედეთი .......................... 2:2
იაპონია-ს.აფრიკა ........................ 0:0
აშშ-ჩრ.კორეა .............................. 1:0
საფრანგეთი-კოლუმბია ............... 1:0
დ.ბრიტანეთი-ბრაზილია ............ 1:0
ა.ზელანდია-კამერუნი ............... 3:1

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

დინამო(კ)-ფეიენოორდი ................... :1
მოზერველი-პანათინაიკოსი ........ 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-სირიანსკა .............. 1:0

<u>**კალათბურთი**</u>

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

ჩინეთი-რუსეთი ......................... 54:73
ავსტრალია-ესპანეთი .............. 70:82
ლიტვა-ნიგერია ......................... 72:53
დ.ბრიტანეთი-ბრაზილია ......... 62:67
საფრანგეთი-არგენტინა .......... 71:64

**ამხანაგური მატჩი**

საქართველო-ჩეხეთი ............... 68:79

<u>**წყალბურთი**</u>

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

უნგრეთი-ჩერნოგორია ............ 10:11
ხორვატია-ესპანეთი ..................... 8:7
ავსტრალია-ყაზახეთი ................. 7:4
იტალია-საბერძნეთი ..................... 7:7
სერბეთი-დ.ბრიტანეთი ..............21:7
აშშ-რუმინეთი ...........................10:8

<u>**ფრენბურთი**</u>

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

სერბეთი-ტუნისი ......................... 3:1
პოლონეთი-ბულგარეთი ............. 1:3
იტალია-არგენტინა ..................... 3:1
აშშ-გერმანია ............................. 3:0
ავსტრალია-დ.ბრიტანეთი .......... 3:0
ბრაზილია-რუსეთი ...................... 3:0

<u>**ხელბურთი**</u>

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

ისლანდია-ტუნისი ..................... 32:22
უნგრეთი-ს.კორეა ..................... 22:19
შვედეთი-დ.ბრიტანეთი ............ 41:19
ხორვატია-სერბეთი .................. 31:23
ესპანეთი-დანია ........................ 23:24
საფრანგეთი-არგენტინა .......... 32:20

<u>**ჩოგბურთი**</u>

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

გასკე-ბაგდატისი ..................... 4:6;4:6
ცონგა-რაონიჩი ............. 6:3;3:6;25:23
ნიშიკორი-დავიდენკო ....... 4:6;6:4;6:1
მიურეი-ნიემინენი ..................... 6:2;6:4
ჯოკოვიჩი-როდიკი .................... 6:2;6:1
ჩილიჩი-ჰიუიტი ......................... 4:6;5:7
ფერერი-კავჩიჩი ......................... 6:2;6:2
მონაკო-ლოპესი ........................ 4:6;4:6

**ქალები**

კერბერი-ბაბოში ....................... 6:1;6:1
ლისიცკი-შვედოვა ............ 4:6;6:3;7:5
ულიამსი!ვ.-ვოზნიაკი ............. 6:1;6:3
პეტროვა-ტატიშვილი ...... 6:3;6:7;6:2
გერგესი-ლეპჩენკო ................ 6:3;7:5
შარაპოვა-რობსონი!ლ. .......... 7:6;6:3
აზარენკა-მარტინეს სანჩესი .. 6:1;6:2
კირილენკო-უოტსონი ............ 6:3;6:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მინის თეატრმა სეზონი დახურა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტივალზე მიიწვიეს. მან მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა რეჟისორების პროგრამაში, სადაც რეზო შატაკიშვილს ამსტერდამის ფესტივალის წარმომადგენელმა ჰილდე ტუინსტრამ 2011 წლის სექტემბერში, მას შემდეგ შესთავაზა, რაც მინსკის საერთაშორისო ფესტივალზე ტენესი უილიამსის „მინის სამხეცე“ ნახა.

— ამ გაზაფხულზე კიდევ შემეხმიანნენ ამსტერდამიდან. გავაგზავნე მონაცემები, ბიოგრაფია, მასალები. შემატყობინეს, რომ გავიმარჯვე და იმ მონაწილეთა შორის ვიყავი, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იწვევენ. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ამსტერდამის საერთაშორისო ფესტივალი იწვევს 15-15 ახალგაზრდა რეჟისორს ჰოლანდიიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. პროგრამის მონაწილეები ესწრებიან ფესტივალზე წარმოდგენილ სპექტაკლებს, მართავენ პრეზენტაციებს, სპექტაკლების შემდეგ იმართება დისკუსიები, საუბარია მათ შემოქმედებასა და სამომავლო გეგმებზე. ასევე ხვდებიან პროდიუსერებს, თეატრმცოდნეებს. ეს აღმოჩნდა საფესტივალო ცხოვრების ერთი კვირა, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, — აღნიშნავს რეჟისორი.

ახლად დაარსებულმა არასტაციონარულმა თეატრმა „მინის თეატრი“ მუშაობა ახალ სპექტაკლზე რამდენიმე თვის წინ დაიწყო. თეატრის მესვეურებმა პირობა დადეს, რომ უახლოეს მომავალში ისინი მაყურებელს შესთავაზებდნენ ჯონ ოსბორნის სახელგანთქმულ პიესას „მოიხედე მრისხანების ჟამს“ და ეს პირობა პირნათლად შეასრულეს. მინის თეატრი ახლახან დაარსდა — პირველად ახლადდაარსებული თეატრი მაყურებლის წინაშე პირველ და ორ თებერვალს წარდგა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ტენესი უილიამსის „მინის სამხეცით“.

— პიესის არჩევანს მოწონებით შეხვდნენ მინის თეატრის კონსულტანტები — ნოდარ გურაბანიძე და ანჯელინა როშკა. თეატრის მთავარი კონსულტანტი ანჯელინა როშკა იმედოვნებს, რომ ეს სპექტაკლი ახალი თეატრის მანიფესტად იქცევა, — აღნიშნავს რეზო შატაკიშვილი.

სწორედ ჯონ ოსბორნის სახელგანთქმული პიესის „მოიხედე მრისხანების ჟამს“ განხორციელებისთვის მინის თეატრმა ახალგაზრდა პროფესიონალი მსახიობი მამაკაცები სათანამშრომლოდ მიიწვია. კონკრეტული როლიდან გამომდინარე, თეატრის ხელმძღვანელობამ ასაკიც შეზღუდა — 21-დან 30 წლამდე.

— ჩვენ არ ჩაგვიტარებია არანაირი კასტინგი, ასეთი ცალმხრივი მიდგომა ჩვენთვის მიუღებელია, ჩვენ სათანამშრომლოდ მოვიწვიეთ ახალგაზრდა პროფესიონალები, რომელნიც მიზეზთა და მიზეზთა გამო ჩრდილში აღმოჩნდნენ, მათ, უბრალოდ, შევთავაზეთ, ჩვენთვის თავი შეეხსენებინათ ან მათ, ვინც სხვადასხვა სცენაზე მოღვაწეობდა და ჩვენთან თანამშრომლობაც სურდა, გამოეთქვათ სურვილი მუშაობის, ჩვენ ჩვენს პირობებს, პოზიციებს გავაცნობდით, დანარჩენი ორმხრივად, ურთიერთშეთანხმებით გადაწყდებოდა, — აღნიშნავს „მინის თეატრის“ ხელმძღვანელი რეზო შატაკიშვილი.

„მინის თეატრის“ ახალი სპექტაკლის „მოიხედე მრისხანების ჟამს“ წარმოდგენები მომავალი თეატრალური სეზონიდანაც გაიმართება. წარმოდგენა კვლავაც რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გათამაშდება. ამ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი კი კვლავინდებურად 6 ლარი იქნება.

# ლიდა ჩხაიძე მის თინეიჯერია“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გენტოსთვის გოგონების შესარჩევად, მოვეწონე და ამიყვანა. მესამე წელია „კატრინის“ მოდელი ვარ. სკოლაში კარგად ვსწავლობ. ჩემი ჰობი ცურვაა. მოდელობაც მომწონს, ამ კონკურსზეც ბევრი მეგობარი შევიძინე. აქ ბევრს კონკურენტებად ვერც კი აღვიქვამდი. ჩემი ფავორიტები ეკა ნასყიდაშვილი, თამუნა ჯიშკარიანი და სოფო სილაგაძე იყვნენ, მაგრამ გამარჯვებული მე გავხდი. უკვე ისიც გავიგე, რომ კონტრაქტის მიხედვით ხუთი წელი გათხოვება და გასუქება მეკრძალება. ეს კონკურსი კიდევ არაფერია, ვიცი, რომ წინ უფრო მასშტაბური კონკურსი მელოდება — „მის მსოფლიო თინეიჯერი“. სპეციალურ ინტერნეტსაიტზე უკვე დევს ჩემი კონკურენტი გოგოების ფოტოები და ბევრი მათგანი მართლა ძალიან მომწონს.

**კრისტი, ჟიურის თავმჯდომარე:**

— ძალიან კარგი გამარჯვებული გვყავს. კმაყოფილი ვარ არჩევანით. ბოლომდე ვენდობი ჟიურის გემოვნებას. ლიდა მესამე წელია ჩვენი სააგენტოს მოდელია და უკვე კარგადაა გარკვეული ამ სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ჩემ თვალწინ გაიზარდა და დაიხვეწა. მართალია, ცოტა ზარმაცია, მაგრამ იმედია, ამ სისუსტესაც დაძლევს, დედამისის იმედი მაქვს. კარგი მონაცემები აქვს, სიარულის მანერა. ძალიან მომწონს ეკა ნასყიდაშვილი, თუმცა ცოტა მორიდებულია, სიმაღლეც აკლია. თავიდან ბევრი ვიდავეთ, ვინ უნდა ყოფილიყო გამარჯვებული. ჟიურის თითქმის ყველა წევრს ორივე გოგონა მოსწონდა და ვერ მიიღო გადაწყვეტილება ერთ-ერთის სასარგებლოდ. ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ ლიდას უფრო ქალური ფორმები აქვს, ვიდრე ეკას და უფრო თამამია, გამარჯვებულად ლიდა დავასახელეთ. ეკა არ დაიკარგება. ის დათუნა სულიკაშვილმა „ფეშენვიკზე“ თავისი კოლექციის ჩვენებაზე მიიპატიჟა. დათუნას ჩვენებაზე ახალგაზრდა და დამწყები მოდელისთვის გამოსვლა კი უკვე ნამდვილად დიდი წარმატებაა.

**ეკა მგალობლიშვილი, კონკურსის ორგანიზატორი:**

— უკვე მესამე წელია „მის საქართველო თინეიჯერს“ ვატარებ და ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მომწონს ეს პროექტი. ჟიური ყოველ წელს საუკეთესო მყავს. მათი არჩევანით კმაყოფილი ვარ. ლიდამ ინგლისური იცის, რაც „მის მსოფლიო თინეიჯერზე“ აუცილებელია. გასულ წელს ნინო გველესიანი გავუშვით ამ კონკურსზე და ინგლისურის არცოდნის გამო მან მეშვიდე ადგილი დაიკავა, არადა, თავისუფლად შეეძლო მესამე ადგილზე გასულიყო. გასულ წელს ხომ მოვხვდით საუკეთესო ათეულში, წელს პირობას გაძლევთ, ხუთეულში აუცილებლად მოვხვდებით.

პ.ს. წელს „მის მსოფლიო თინეიჯერი“ გვატემალაში 18 აგვისტოს გაიმართება. ქართველი „მის თინეიჯერი“ საქართველოდან 8 აგვისტოს გაემგზავრება. მის ჩაცმულობაზე ამჯერადაც დიზაინერი ეკა ბალანჩივაძე იზრუნებს. მთლიანობაში ლიდა ჩხაიძისთვის 18 კოსტიუმი შეიკერება. მასთან ერთად გვატემალაში ეკა მგალობლიშვილი, ნინი შერმადინი და ქეთი ორჯონიკიძეც მიფრინავენ. ქართველი მომღერლები თავიანთი სიმღერებით გვატემალაში გამართულ „მის მსოფლიო თინეიჯერი 2012“-ის ფინალურ ღონისძიებას საზეიმოდ გახსნიან და დახურავენ.

# 101 წლის ქმარმა 85 წლის ცოლს ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილი უყიდა



101 წლის ამერიკელმა ედვარდ ჰეინემ თავის 85 წლის მეუღლეს ჰიბრიდული ავტომობილი „შევროლე ვოლტი“ აჩუქა, რისთვისაც მას თავისი „იაგუარის“ გაყიდვა და ფულის დამატება დასჭირდა.

მიზეზი ის გახლავთ, რომ ასაკის გამო თავად ჰეინე საჭესთან უკვე სამი წელია აღარ ჯდება, მისი მეუღლე კი ავტომობილს ჯერ კიდევ მართავს.

როგორც ხანდაზმულმა ცოლ-ქმარმა განაცხადა, მათ გადაწყვიტეს არ ჩამორჩნენ ტექნიკურ პროგრესს და მაქსიმალურად ეკოლოგიური ავტომობილი შეიძინეს. შევროლე ვოლტი აშშ-ში ყველაზე პოპულარული ჰიბრიდული ავტომობილია.

ჰეინეს თქმით, ავტომობილი მისმა მეუღლემ აარჩია, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიებში იგი უფრო გარკვეულია.

„ჩვენს დროში თუ ცხოვრობთ, დროს უნდა აუწყოთ ფეხი და ტექნოლოგიურად უფრო განვითარებული უნდა იყოთ, — ამბობს ჰია ჰეინე, — მიგვაჩნია, რომ ჩვენი ავტომობილი გარემოსათვის სრულიად უვნებელი უნდა იყოს და სწორედ ამიტომ ავირჩიეთ იგი“.

ცოლ-ქმარმა ახალი ავტომობილი ორი წლის განვადებით შეიძინეს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ამ დროისათვის საავტომობილო ტექნოლოგიები კვლავ შეიცვლება, მანქანა მოძველდება და მისი გაყიდვა იქნება საჭირო.

თავად ედვარდ ჰეინეს იმედი არ აქვს, რომ კიდევ ორი წელი იცოცხლებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ცოლი მასზე დღეგრძელი იქნება.

ჰეინე საჭეს 16 წლის ასაკში მიუჯდა, პირველი ავტომობილი 1937 წელს შეიძინა. ავტომობილის მართვის 82 წლის განმავლობაში ავარიაში მხოლოდ 4-ჯერ მოხვდა და ოთხივეჯერ ავტოსაგზაო შემთხვევა უმნიშვნელო იყო.

შევროლე ვოლტი ავტომოყვარულთა სამსჯავროზე პირველად 2007 წელს დეტროიტში გამოიყვანეს, მისი სერიული წარმოება კი 2010 წელს დაიწყო.

ავტომობილი აღჭურვილია 150 ცხძ სიმძლავრის ელექტრული და 1.4 ლ მოცულობისა და 86 ცხძ სიმძლავრის ბენზინის ძრავით. ეს ძრავა ძირითადად ლითიუმის აკუმულატორების დასამუხტად გამოიყენება.

# დემი მურის და ბრიუს უილისის შუათანა ქალიშვილს ბრალდებები მოუხსნეს



ნიუ იორკის სასამართლო ბრიუს უილისისა და დემი მურის შუათანა ქალიშვილისათვის, სკაუტ უილისისათვის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ალკოჰოლური სასმელის მიღებისა და პოლიციისათვის ყალბი პირადობის მოწმობის ჩვენების ბრალდებების მოხნას იმ შემთხვევაში დათანხმდა, თუკი სკაუტ უილისი 2 ოქტომბრამდე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას 2 დღეს დაუთმობს.

„კერკეტი კაკლის“ ვარსკვლავის ოცი წლის ქალიშვილი სკაუტ უილისი ნიუ იორკის მეტროს ერთ-ერთ სადგურში მიმდინარე წლის ივლისში დააკავეს. პოლიციელებმა შეამჩნიეს, რომ იგი პაკისტანური წარმოების ქილის ლუდს სვამდა. Pოლიციელებს მან კეტრინ კელის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა წარუდგინა.

დაკავების მომენტისათვის გოგონა 20 წლისა იყო, აშშ-ში კი სპირტიანი სასმელის შეძენა მხოლოდ 21 წლის ასაკიდან შეიძლება. გარდა ამისა, აშშ-ში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სპირტიანი სასმელების მიღება აკრძალულია.

დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში სკაუტ უილისს პატიმრობა, აღრიცხვაზე აყვანა ან პირობითი სასჯელი ემუქრებოდა.

გოგონას ქალიშვილმა სტეისი რიჩმანმა სასამართლოს მისი კლიენტის სახელზე უნივერსიტეტიდან გაცემული „ბრწყინვალე“ დახასიათების გათვლისწინება სთხოვა. ადვოკატმა სასამართლოს სთხოვა გაეთვალისწინებინა ისიც, რომ მის კლიენტს მანამდე მართლმსაჯულებასთან პრობლემები არ ჰქონია.

სამშბათს გამართულ სასამართლო სხდომას თავად სკაუტი არ დასწრებია.

ბრიუს უილისმა და დემი მურმა 1987 წლის ნოემბერში იქორწინეს. მათ სამი ქალიშვილი, რუმერი, სკაუტი და ტალულა შეეძინათ. 2000 წელს ისინი ერთმანეთს გაშორდნენ.

# ხავიერ ბარდემი ჯეიმს ბონდს დაუპირისპირდება

ბონდიანას მომავალი ფილმის ოფიციალური სარეკლამო რგოლის გამოქვეყნების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ჯეიმს ბონდის მთავარი მეტოქის როლს ამ ფილმში ესპანელი მსახიობი ხავიერ ბარდემი შეასრულებს.

მისი პერსონაჟის სახელია სილვა, იგი კრიმინალური სამყაროს გენიოსია და პირველი, რასაც მაყურებელი მიაქცევს ყურადღება, მისი ქერა თმაა.

სარეკლამო რგოლში ნაჩვენებია კადრები, სადაც სილვა შებოჭილ ჯეიმს ბონდს ესაუბრება, აგრეთვე კადრები, სადაც ხავიერ ბარდემის პერსონაჟი პოლიციის ფორმაშია გამოწყობილი.

სარეკლამო რგოლში ასევე წარმოგენილია ახალი „ქუ“, ბრიტანეთის დაზვერვის კვლევითი ცენტრის ახალი ხელმძღვანელი, რომელიც ჯეიმს ბონდს ახლადგამოგონილი ტექნიკური ხასიათის აღჭურვილობით ამარაგებს.

„ქუს“ როლს ასრულებს ბრიტანული კინოს ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული ბენ უილშოუ, რომელიც თავის წინამორბედთან შედარებით იმდენად ახალგაზრდაა, რომ თავდაპირველად ბონდის უნდობლობას იწვევს.

ბონდიანას ახალი ფილმი „007: სკაიფოლის კოორდინატები“ დიდ ბრიტანეთში ეკრანებზე 2012 წლის 26 ოქტომბერს გამოვა.

დენიელ კრეიგისათვის ეს ფილმი ბონდიანას რიგით მესამე ფილმი იქნება „კაზინო როიალის“ და „მოწყალების კვანტის“ შემდეგ.

რაც შეეხება ხავიერ ბარდემს, ძმები კოენების ფილმში „მოხუცებს აქ არაფერი ესაქმებათ“ შესრულებული სასტიკი მკვლელის როლისატვის მან ოსკარი დაიმსახურა. ამ პრესტიჟულ პრიზზე იგი 2001 და 2011 წლებშიც იყო ნომინირებული.

სარეკლამო რგოლის ხანგრძლივობა ორნახევარი წუთია და მასში ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელი „ემიც“ ჩანს, მსახიობ ჯუდი დენჩის შესრულებით. კერძოდ, იგი უკვე მერამდენედ დაღუპულად გამოცხადებული ჯეიმს ბონდის ნეკროლოგს ბეჭდავს.

ფილმის ცალკეული ეპიზოდები იენ ფლემინგის, ბონდიანის ავტორის 1964 წელს გამოცემული წიგნიდან „მხოლოდ ორჯერ ცოცხლობ“ არის არებული. ეს წიგნი თავდება იმით, რომ ჯეიმს ბონდს იაპონიაში დავალების შესრულების დროს კლავენ.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## hჰჯცღჯჰღბ ,



**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. ღომში ჩაზელილი სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი; 4. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 6. ბრიტანეთის მეორე სახელწოდება; 9. მტრედის ბარტყი; 11. აეროპორტი ბუქარესტში; 15. კომფორტულად მოწყობილი ძვირფასი სასადილო; 16. დაქირავებული კავალერი; 17. ლერწმისგან დამზადებული ქართული ხალხური ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 19. მიწის თხილი; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყნებში მეფის მცირეწლოვნების გამო; 22. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

**თარაზულად**: 5. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 7. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 8. მთიანეთი აფრიკაში; 10. მგალობელი ჩიტი; 12. ქვეწარმავლის შხამი; 13. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. მოღრუბლული დილა; 23. არგონავტების წინამძღოლი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან გამოსახულება; 25. ვაზის ნასხლავი; 26. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 27. სამართლებრივი მდგომარეობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**ობყფ ყჯვცჰიბ ეფვჯმღც.ყც,ეჰბ hჰჯცღჯჰღც,ბც გფცე[ც,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მოლი; 2. რადიო; 3. შტამბი; 5. პოსკო; 6. კვესტურა; 8. ბუნდესვერი; 10. ნიქოზა; 12. მასტიფი; 14. ჯაკუზი; 15. კახიძე; 16. დრაჟე.

**თარაზულად**: 1. მუჯირი; 4. სპეკატი; 7. მადერა; 9. ბატონი; 11. ანაკლია; 12. მთიულური; 13. ბონუსი; 17. სტამპა; 18. ლელა; 19. აფსარუნტი; 20. ჩიჩერონე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ობლიგო; 2. ლაკმე; 3. ბრინზა; 4. ტოლედო; 6. გოდერძი; 9. ჩაუქი; 11. გერგეტი; 15. რეგისტანი; 16. პოეზია; 17. მარტვილი; 19. ალაზანი; 21. მაქმანი; 22. მარულა.

**თარაზულად**: 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ალპები; 10. ვარიეტე; 12. დურდო; 13. უწერა; 14. ზაქარიაძე; 18. გოგრა; 20. კოზაკი; 23. ფაუსტი; 24. ქერი; 25. ალიევი; 26. ლენა; 27. უნგრეთი.

# ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციები ჩინეთისა და ერაყის ბანკებს დაარტყამს




„სი-ენ-ენ"-ის ცნობით, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების შესახებ გამოაცხადა, რაც ერაყისა და ჩინეთის ბანკების წინააღმდეგაც იქნება მიმართული. ობამას განცხადებით, ჩინურმა ბანკმა „კუნლუნმა" და „ელაფ ისლამიქ ბანკმა" ერაყში, სანქციების მიუხედავად, ირანის ბანკებთან მილიონ დოლარზე მეტი ტრანზაქცია განახორციელეს.

— ამ ფინანსური ინსტიტუტების ამერიკიდან მოკვეთა ნიშნავს, რომ ჩვენ გამოვააშკარავებთ ნებისმიერ ფინანსურ ინსტიტუტს, სადაც არ უნდა მდებარეობდნენ ისინი, — აღნიშნა პრეზიდენტმა. ამერიკისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შემდეგ ირანის ნავთობის ექსპორტი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. როგორც აღნიშნავენ, სანქციების შემდეგ ირანის ეროვნული ვალუტის ღირებულება 28%-ით შემცირდა.

ახალი სანქციები ეხება ენერგეტიკის, ქიმიური მრეწველობისა და საფინანსო სექტორებს. ვაშინგტონი აცხადებს, რომ ეს არის მცდელობა, შეაჩეროს ირანის ბირთვული პროგრამა. იმავდროულად, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებაში ახალ სანქციებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ვაშინგტონი კვლავაც შეეცდება, იპოვოს პრობლემის დიპლომატიური გადაწყვეტა.

თეირანის განცხადებით კი მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიანი ხასიათისაა. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ ირანის პირველმა დიპლომატმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები კვლავ განახლდება. როგორც ცნობილია, ირანი უარყოფს ბირთვულ იარაღზე მუშაობას და აცხადებს, რომ ბირთვული პროგრამა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

# ევროზონაში უმუშევრობის მაჩვენებელმა მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია




2012 წლის ივნისში ევროზონაში უმუშევრობის მაჩვენებელმა მაქსიმალურ ნიშნულს — 11,2 პროცენტს მიაღწია, — იუწყება უცხოური მედია. ეს 1995 წლიდან დღემდე მაქსიმალური მაჩვენებელია. 2011 წლის ივნისში კი ის 10 პროცენტს შეადგენდა. მიმდინარე წლის ივნისში ევროკავშირის ქვეყნებში 25 112 მილიონი უმუშევარი ირიცხებოდა. აქედან 17 801 მილიონი ევროზონაზე მოდის. მიმდინარე წლის მაისთან შედარებით, ივნისში ევროკავშირში დაუსაქმებელთა რაოდენობა — 127 000-ით, ხოლო ევროზონაში 123 000-ით გაიზარდა. ევროზონა მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი, სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს — ესტონეთი.

# ცფვუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათა შესწავლის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

**ნინო ვახტანგის ასულ გაჩეჩილაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თამაზ და ლია პაიჭაძეები თანაგრძნობას უცხადებენ შვილის ნათლიას, რეზო გოგოხიას ძმის

**შალვა აკაკის ძე გოგოხიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ლეო ჩიქავა, გედევან ხელაია, ამირან ჯიბუტი თანაუგრძნობენ პროფესორ რევაზ გოგოხიას ძმის

**შალვა გოგოხიას**

გარდაცვალების გამო.

---

ლუდმილა ლომია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ოჯახის მეგობრის, ძალიან თბილი, საყვარელი, დაუვიწყარი

**მელენტი ქაჯაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ბადრი შავდია, დოდო ბურჯანაძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამენ

**მელენტი ქაჯაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცფვუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბც უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# რომნიმ რუსეთს ნომერ პირველი გეოპოლიტიკური მტერი" უწოდა

ამერიკის პრეზიდენტობის რესპუბლიკელთა კანდიდატმა მით რომნიმ ვარშავის უნივერსიტეტის შეხვედრისას რუსეთს ნომერი პირველი გეოპოლიტიკური მტერი უწოდა, ხოლო პუტინი დემოკრატიის პრინციპების რღვევასა და რუსეთში თავისუფლების შეზღუდვაში დაადანაშაულა. რომნიმ რუსეთის პრეზიდენტი ბაშარ ასადსა და ალექსანდრე ლუკაშენკოს შეადარა და აღნიშნა, რომ „ეს ქვეყნები ხალხის თავისუფლების მოწოდებას ახშობენ".

— პოლონეთი რომნის მსოფლიო ტურნეში ბოლო პუნქტი გახლდათ. წინასაარჩევნოდ თანხების შესაგროვებლად მან დიდი ბრიტანეთი და ისრაელიც მოინახულა. ლონდონში ის ბრიტანეთის შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს, როდესაც რომნიმ განაცხადა, რომ ლონდონი არ არის მზად ამ ოლიმპიადის მისაღებად. ისრაელში კი რესპუბლიკელთა კანდიდატმა პალესტინელები გაანაწყენა, როდესაც აღნიშნა, რომ ისრაელის ეკონომიკა პალესტინის კულტურაზე ძლიერია, იმიტომ რომ ებრაელებს კულტურაც მაღალი აქვთ, ვიდრე პალესტინელებს, — აღნიშნავს „გარდიანი".

რადიო „თავისუფლება" აღნიშნავს, რომ მით რომნი — ბიზნესმენი და მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი — საგარეო პოლიტიკური გამოცდილებით ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ ჰყავს მრჩეველთა გუნდი, რომელიც 20-ზე მეტ ექსპერტს აერთიანებს. მათ შორის ბევრი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე თავდაცვის, დაზვერვისა და დიპლომატიურ უწყებებში ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მმართველობის დროს. თუმცა, რომნი თავის საგარეო პოლიტიკურ ხედვას ადარებს არა ჯორჯ ბუშის, არამედ რონალდ რეიგანის კონცეფციას. „ჩემი საგარეო პოლიტიკის ზოგადი სათაური ისეთივე იქნება, როგორიც რონალდ რეიგანის იყო: კერძოდ, „მშვიდობა ძალის მეშვეობით", — ნათქვამი აქვს რომნის.

— შესაბამისად, რომნი საჭიროდ მიიჩნევს რადიკალი ისლამისტებისაგან მომდინარე საფრთხის საწინააღმდეგოდ აშშ-ის დაზვერვის სამსახურების გაძლიერებას, არმიის პირადი შემადგენლობის გაზრდას 100 000 კაცით და ალ-ქაიდას სატელეფონო ზარების „მონიტორინგს". გარდა ამისა, წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში რომნის გამარჯვების შემთხვევაში, შეერთებული შტატე-



ბი შეამცირებს საგარეო დახმარებისათვის განკუთვნილ ხარჯებს. „ყველანაირ ფულად დახმარებას შევუწყვეტ ქვეყნებს, რომლებსაც შეუძლიათ, თვითონ მიხედონ საკუთარ თავს და არანაირი ფინანსური დახმარება არ მიეცემათ ქვეყნებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამერიკის ეროვნულ ინტერესებს", — აცხადებს პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატი.

— თუმცა, ნოემბრის არჩევნებამდე რამდენიმე თვე რჩება და რომნის ჯერ მხოლოდ შეფასებებისა და განცხადებების კეთების საშუალება აქვს. ის, მაგალითად, მკაცრად აკრიტიკებს ირანის მიმართ პრეზიდენტ ბარაკ ობამას პოლიტიკას და თითქმის ყოველთვის, როცა ირანზე უწევს საუბარი, ახსენებს ხოლმე სამხედრო ოპერაციის შესაძლებლობას.

ასე იყო წინასაარჩევნო დებატების დროსაც შარშან ნოემბერში, როცა ჰკითხეს, საჭიროა თუ არა ირანთან ომის დაწყება, რათა არ დავუშვათ მის ხელში ბირთვული იარაღის ჩაგდებაო. რომნის პასუხი ასეთი იყო: „დიახ, საჭიროა მკაცრი სანქციების გატარება, საჭიროა ამ მეამბოხეებთან მუშაობა და მათი წახალისება, რათა ამ ქვეყანაში რეჟიმი შეიცვალოს და, თუკი ეს ყველაფერი ვერ გაამართლებს და ჩვენ მიერ განხორციელებული სამუშაოების შემდეგ სხვა გზა აღარ დაგვრჩება, გარდა სამხედრო ზომების მიღებისა, მაშინ, რა თქმა უნდა, უნდა დავიწყოთ სამხედრო მოქმედებები", — წერს „თავისუფლება".

ირანის ბირთვული პროგრამა ერთ-ერთი მთავარი საკითხია რომნის ამჟამინდელი უცხოური ტურნეს ფარგლებში, ისრაელში ვიზიტისას.

— აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატი ობამას აკრიტიკებს ავღანეთის საკითხშიც — კერძოდ, მის გადაწყვეტილებას ავღანეთიდან ჯარების გაყვანის თარიღად 2014 წლის მიწურულის განსაზღვრის შესახებ. რომნი შიშობს, რომ ექსტრემისტები, უბრალოდ, დაელოდებიან უცხოელი სამხედროების გასვლას და მერე გააქტიურდებიან.

რომნი საჭიროდ მიიჩნევს ხშირ კონტაქტს ავღანეთის პრეზიდენტთან, რათა ცხადი იყოს, რა ზომებს უნდა მიმართოს ჰამიდ კარზაიმ ომისთვის ბოლოს მოღების ხელშესაწყობად. „დაველაპარაკებოდი პრეზიდენტ კარზაის. რეგულარულად, ყოველდღე მექნებოდა საუბარი პრეზიდენტ კარზაისთან. ჩვენ ჯარისკაცები გვყავს იქ, საფრთხეში. ავღანეთში მოგვიკლეს თითქმის 1800 მამაკაცი და ქალი. ჩვენ გვაქვს რეალური ინტერესი, უზრუნველვყოთ, რომ ეს კარგად დამთავრდება და ჩვენი მისია იქ წარმატებული იქნება, რათა ავღანეთმა შეძლოს თავისი სუვერენობის დაცვა თალიბანისაგან, საბოლოოდ ალ-ქაიდასგანაც", — აცხადებს რომნი.

— რომნის წინასაარჩევნო კამპანიისთვის შემუშავებულ ოფიციალურ ტექსტში ვკითხულობთ, რომ რუსეთი არის „მადესტაბილიზებელი ძალა მსოფლიო ასპარეზზე". იქვეა ჩამოთვლილი ასეთი შეფასების მიზეზებიც: „კრემლის გავლენა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის ენერგომომარაგებაზე, მისი ბირთვული იარაღის მარაგი, მისი აგრესიული სამხედრო მოქმედების ბოლოდროინდელი ისტორია და ძალა, რომლითაც მოსკოვი სარგებლობს საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა გაერთიანებული ერები". რომნი ამბობს, რომ „გადატვირთავს" ობამას „გადატვირთვის პოლიტიკას" და შეიმუშავებს სტრატეგიას, რათა ხელი შეუშალოს რუსეთის „აგრესიულ ან ექსპანსიონისტურ მოქმედებას". ამჟამინდელი უცხოური ტურნე, ცნობების თანახმად, მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, რომ აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატს შესწევს ძალა, დამაჯერებლად იმოქმედოს საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე, — აღნიშნავს „თავისუფლება".

# ბაშარ ასადი: სირიის მომავალი შეიარაღებული ძალების გმირულ ბრძოლაზეა დამოკიდებული



სირიის მომავალი სირიის შეიარაღებული ძალების „მამაცურ და გმირულ" ბრძოლაზეა დამოკიდებული, — ნათქვამია სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მიერ ქვეყნის შეიარაღების ძალების 67-ე წლისთავისადმი მიძღვნილ განცხადებაში. ასადის თქმით, რომელიც საზოგადოებაში უკვე ორ კვირაზე მეტია არ გამოჩენილა, სირიელი ხალხის ბედი, აწმყო, წარსული და მომავალი და მთლიანად ერის მომავალი ამ ბრძოლაზეა დამოკიდებული. სირიის არმიას ბაშარ ასადი გმირულ არმიას უწოდებს ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლაში. შეგახსენებთ, რომ, სირიის ოპოზიციის განცხადებით, სამთავრობო ძალები ქალაქ ალეპოს დაცხრილვას განაგრძობენ. გაეროს მონაცემებით. სირიაში დაღუპულთა რაოდენობამ ამ დროისათვის 16 ათასი ადამიანი შეადგინა.

საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეიშენალი" სირიის ხელისუფლებას ალეპოსა და სირიის სხვა ქალაქებში, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ სისხლისსმსელ დანაშაულს სდებს ბრალად. ორგანიზაციის ახალ მოხსენებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ საერთაშორისო სასამართლოს უნდა მიმართოს სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მოხსენებაში საუბარია, რომ სირიის ხელისუფლება მიზანმიმართულად ხოცავს არა მარტო უდანაშაულო მოქალაქეებს, არამედ მოხუცებსა და ბავშვებს და მოუწოდებს სირიის ხელისუფლებას, სასწრაფოდ შეწყვიტოს უდანაშაულო მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტვა.

ამ ფონზე სირიის ოპოზიცია დევნილ მთავრობას აყალიბებს, — იუწყება უცხოური მედია. დევნილი მთავრობის შექმნის პროცესის დაწყებაზე განცხადება ოპოზიციონერმა ხაიტამ ალ-მალეხიმ კაიროში გააკეთა. მისი თქმით, მას ასეთი დავალება ოპოზიციის წარმომადგენლებმა როგორც სირიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ მისცეს.

მალეხის განმარტებით, ეს სტრუქტურა დროებითი იქნება. პრეზიდენტ ბაშარ ასადის დამხობის შემდეგ დროებითმა მთავრობამ ქვეყანაში პატიოსანი არჩევნები უნდა მოამზადოს და ჩაატაროს, ამის შემდეგ კი ძალაუფლება კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას გადასცეს. სირიის მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ — ეროვნულმა საბჭომ ჯერჯერობით ამ განცხადებაზე კომენტარი არ გააკეთა. 81 წლის ხაიტამ ალ-მალეხი წარსულში მოსამართლედ მუშაობდა და უფლებათადამცველის სფეროში მუშაობდა. იგი კონსერვატიულ ისლამურ შეხედულებებს იზიარებს და თავისი პოლიტიკური მრწამსის გამო სასჯელსაც იხდიდა.

ამერიკული ტელეკომპანია „ემბისი ნიუსი" კი ავრცელებს ინფორმაციას, რომ თურქეთმა ამბოხებულებს იარაღი გადასცა. საუბარია გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსების გადაცემაზე. ამ სარაკეტო კომპლექსით სირიელ ამბოხებულებს შესაძლებლობა მიეცემათ, ჩამოაგდონ ასადის რეჟიმის სამხედრო შვეულმფრენები და დაბალ სიმაღლეზე მფრინავი თვითმფრინავები. როგორც ამერიკული ტელეკომპანია იუწყება, სირიის ამბოხებულებმა 20-მდე ასეთი სისტემა მიიღეს. სირიაში უკვე ერთი წელია სამოქალაქო ომია. ამჟამად ბრძოლები სიდიდით მეორე ქალაქ ალეპოში მიმდინარეობს. ბოლო ინფორმაციით, მეამბოხეებმა ალეპოს ცენტრალური უბნებიც დაიკავეს, მათ შორის, პოლიციის მთავარი სამმართველოც.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 2 აგვისტო**

07.00, 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 02.30 მოამბე **08.00** დოკ. ფილმი "შუა საუკუნეების მანერები". **09.00** ანიმაციური ფილმი. **10.30** მხ. ფილმი **"ლეპრიკონების საოცარი ლეგენდა"** **13.00** არენა. ოლიმპიური დღიური. **13.40 ზაფხულის მე-40 ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) **21.00** არენა. ოლიმპიური დღიური. **21.40 ზაფხულის მე-40 ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) **02.50** მხ. ფილმი **აქ მოხუცების ადგილი არ არის"** (18) (ტ. ლი ჯონსი) **04.50** მხ. ფილმი **"ბოულინგის მეფე"** (15) (ვ. ჰარელსონი) **06.40** დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი "დრო" 1-ნაწ. **16.00, 02.00** ოლიმპიური არენა. **16.40, 20.00, 01.00 ოლიმპიადა 2012**. **02.30** მხ. ფილმი **"ანგარიშსწორება"** (უ. ტურმანი)

**08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, 05.00, 07.00** ქრონიკა. **08.10** ან. ფილმი "კუ ნინძების ახალი თავგადასავალი" 4-სერ. **08.35** ან. ფილმი "ვინი პუხის ახალი თავგადასავალი" 4-სერ. **09.10** სერ. **"გმირები 3"** 4-სერ. **10.05** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** **11.30** ქრონიკა+ **11.00, 11.30, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.50** სერიალი **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ **14.40** 100 გრადუსი (გან.) **17.40** სერიალი **"მეწამული ცა"** **18.40** სერიალი **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერიალი **"მემკვიდრეები"** **22.00** სერიალი **"შუა ქალაქში 3"** **23.00** მხ. ფილმი **"რემბო 4"** **00.50** ღამის შოუ. **01.50** თბილისი Live. **03.05** მხ. ფილმი **"უცხოპლანეტელი 3"** **05.15** მხ. ფილმი **"სიკვდილის მანქანა"** **06.25** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"დედის გული"** **11.00** სერიალი **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** კომედი შოუ **17.00** სერიალი **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **22.00** ქართ. მხ. ფილმი **23.00** შიშის ფაქტორი **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერიალი **"ჩემი შეუვარებული"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** **13.00** მხ. ფილმი **15.15** პულსი (გან.) **15.45** ან. ფილმი **17.10** სერ. **"ელიზა და რიპომბროზა"** **18.00** მხ. ფილმი **19.00** გზა ლონდონისკენ **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი **01.50** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 15.15** დოკ. ფილმი **"დედამიწის საგანძური"** **10.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა"** **12.50, 19.35** სერ. **"ქეთილშობილი თაღლითები"** **13.50** სცენა **16.00** დოკ. ფილმი "ისტორიის საიდუმლოებანი" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **19.30** ანონსი. **23.00** მხ. ფილმის **"17 წლისანი"**

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00, 12.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.30** ჩვენი ტრაპეზი. **10.35, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.40** პატრიარქი ლოცავს საქართველოს. **11.05** პატრიარქი ილია II. **11.30** დოკ. ფილმი "კლდესა ამას ზედა". **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შივდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 24.00** საეკლესიო კალენდარი. **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფ. ოპერა **"დაისი"**. **13.30** კონცერტი. **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი. **15.30** პატრიარქი ლოცავს საქართველოს. **16.30** დოკ. ფილმი "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი". **18.10** დოკ. ფილმი "სტუმრად პატრიარქთან". **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** დოკ. ფილმი "ლოცვები საქართველოსთვის". **19.35** მხ. ფილმი **"ლუკას სახარება"**. **20.40** ძილი ნებისა. **21.00** პატრიარქის ქადაგება. **21.05** ლექსით ქებათა ქება. **22.25** კონცერტი-პატრიარქის საგალობლები პარიზში. **23.00** საღამოს ლოცვა. **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** დოკ. ფილმი "მოქცევაი ქართლისაი". **01.40** კონცერტი.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 agvisto


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6597
ევრო —2,0152
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779
რუსული რუბლი — 0,0512

**ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 30–32, ღამით — 21–22;
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 28–36, ღამით — 22–23;
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24–25, ღამით — 13–20;




## იუმორი



* * *

– წუხელ ჭიქა ისე კარგად გავრეცხე, რომ დილით ძლივს ვიპოვე სამზარეულოში...

* * *

– ლამაზი ქალის შენახვა ძალიან ძვირი ჯდება, სხვადასხვა ხარჯის გარდა, სხვა მამაკაცების ინტიმურ წინადადებებზე უარის ანაზღაურებაც არის საჭირო...

პოლიციამ პლაჟზე ნუდისტი ქალი დააკავა და საცურაო კოსტიუმის ჩაცმა შესთავაზა:

– აღმოსავლეთშიც ასე იწყებოდა, ჯერ უწყინარი სტრინგები გავაზე, შემდეგ ჩადრი სახეზე...

* * *

განცხადება ღამის კლუბში: „ბარის შემოსავლის გაზრდის მიზნით გვესაჭიროება ახალგაზრდა, მაგრამ ულამაზო სტრიპტიზის მოცეკვავე“.

* * *

ზაფხულში, ტემპერატურის მატებასთან ერთად, ფრიგიდულ ქალებს ფასი დაედოთ...

* * *

უფასო სამედიცინო მომსახურებიდან ამჟამად ხელმისაწვდომია მხოლოდ ორი: სამკურნალო შიმშილი და ურინოთერაპია...

* * *

– აი შენ, მთავრობას რომ აგინებ, იცი, რომ თითოეულ ხალხს ჰყავს ისეთი მთავრობა, როგორსაც იმსახურებს?

– შენ მალე იმასაც იტყვი, რომ თითოეული წამებული თავის მტარვალს იმსახურებს...

* * *

– ერთად დავამარცხოთ შიზოფრენია, – გაიფიქრა პაციენტმა...

* * *

– დასაბამიდან იყო ბიტი, შემდეგ ბაიტი და მხოლოდ ამის შემდეგ იყო სიტყვა...

**გ.თ.**

## ლიდა ჩხაიძე მის თინეიჯერია“

ეკა ირემაშვილი

სამოდელო სააგენტო „კატრინის“ ხელმძღვანელმა ეკა მგალობლიშვილმა ტრადიციას არც წელს უღალატა და მთელი საქართველოს შემოვლის შემდეგ კვლავაც ჩაატარა სილამაზის კონკურსი „მის თინეიჯერი 2012“, რომლის დასკვნითი ნაწილი სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გაიმართა. წელს საუკეთესო თინეიჯერებს მთელი საქართველოდან სპეციალური ჟიური აფასებდა, რომელსაც მოდელი კრისტი ხელმძღვანელობდა. კრისტისთან ერთად კი ჟიურიში გაერთიანდნენ დიზაინერები დათუნა სულიკაშვილი და ფატუნა ბუშიჰედი, მოდის კრიტიკოსი დალი ჩიტალაძე, მომღერლები ნინი შერმადინი და ქეთი ორჯონიკიძე, ჟურნალ „ბომონდის“ რედაქტორი თეა აგლაძე, ფოტოგრაფი შოთიკო ბოჭორიშვილი და ასევე რამდენიმე სპონსორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

საქართველოს რეგიონებში ჩატარებული შიდაშესარჩევი ტურების შედეგად ჟიურიმ 23 კონკურსანტი შეარჩია, რომელთაგანაც ფინალში გამარჯვება მხოლოდ ერთს ხვდა წილად. ფინალისტმა თინეიჯერებმა ჟიურისა და შეკრებილი საზოგადოების წინაშე თავის მოწონება საცურაო კოსტიუმებში სცადეს. „მის თინეიჯერის“ კონკურსანტების გარდა, ღონისძიებაში სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც დიზაინერ ეკა ბალანჩივაძის კოლექცია წარმოადგინეს. ამ დიზაინერმა წლის საუკეთესო თინეიჯერების, საღამოს წამყვანისა და ჟიურის თავმჯდომარის ჩაცმულობაზეც იზრუნა. საცურაო კოსტიუმების



შემდეგ კი გოგონები საღამოს კაბებით გამოვიდნენ და ფავორიტებიც კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა.

ჟიურიში მყოფი მომღერლები ნინი შერმადინი და ქეთი ორჯონიკიძე სილამაზის კონკურსის დასკვნით ეტაპს თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერებით ალამაზებდნენ. ჟიურის კი გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, კამათი, ჟიურის ნაწილს „მის თბილისი“ ლიდა ჩხაიძე მოსწონდა, ხოლო ნაწილს „მის კახეთი“ – ეკა ნასყიდაშვილი. თუმცა ჟიური საბოლოოდ შეთანხმდა და საზოგადოებას გამარჯვებულიც წარუდგინა. წლის „მის თინეიჯერი“ თბილისელი 14 წლის ლიდა ჩხაიძე გახდა. იგი ამ კონკურსში უკვე მეორე წელია მონაწილეობს. პირველი მცდელობა ლიდასთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, წელს კი მან გამარჯვება მოიპოვა და საუკეთესო „მის თინეიჯერის“ ტიტული მოირგო. ეკა ნასყიდაშვილს კი ჟიურიმ „ვიცე-მის თინეიჯერის“ ტიტული მიანიჭა. სილამაზის კონკურსზე სხვა ნომინაციებიც გამოვლინდა – „მის სამეგრელო-ზემო სვანეთი“ თიკო სორდია გახდა, „მის იმერეთი“ – მარიამ თევდორაძე და „მის შიდა ქართლი“ – ევა გამდლიშვილი. მთლიანობაში უსაჩუქროდ არავინ დარჩენილა, ღონისძიების სპონსორებმა თავიანთი ფავორიტები დაასახელეს და სამახსოვრო პრიზებითაც დააჯილდოვეს. თავისი რჩეული თინეიჯერები ჰყავდა ჟიურისაც, რომლებსაც ასევე საჩუქრები გადაეცათ.

**ლიდა ჩხაიძე, გამარჯვებული:**

– არც კი მჯერა, რომ გავიმარჯვე. უკვე მეორედ ვარ ამ კონკურსზე და მივაღწიე წარმატებას. დიდი მადლობა ჟიურის, რომ საუკეთესოდ დამასახელეს. ამ სამყაროში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ეკა მგალობლიშვილი ჩვენს სკოლაში იყო მოსული საა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## უმაღლესი შეივსო — საწევრო გადახდილია

საბოლოოდ გადაწყდა, რომ საქართველოს 24-ე ეროვნულ ჩემპიონატში ყველა ის გუნდი ითამაშებს, ვინც თავიდანვე დებულებით იყო გათვალისწინებული.

როგორც მოგეხსენებათ, გუნდებს 1 აგვისტოს საღამომდე ჰქონდათ მიცემული ვადა, რათა სამონაწილეო თანხა დაეფარათ. ბოლომდე გადაუხდელი მხოლოდ სამ გუნდს ჰქონდა – „ზესტაფონს“, რუსთავის „მეტალურგს“ და მარტვილის „მერანს“. განსაკუთრებით გვაღარდებდა „ზესტაფონის“ სიტუაცია, რადგან საქართველოს ორგზის ჩემპიონის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ კლუბის პასივი აღემატებოდა შემოსულ თანხებს და გადახდის უუნარო იყო. თუმცა, ყველაფერი კარგად მოგვარდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბმა საწევრო თანხა დროულად და სრულად შემოიტანა სფფ-ის ანგარიშზე და მომავალ სეზონს ფინანსური პრობლემების გამო არც ერთი კლუბი არ გამოაკლდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ასევე იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი საფეხბურთო სეზონი გასულ სეზონზე მეტად საინტერესო, სანახაობრივი და წარმატებული იქნება ჩვენი კლუბებისათვის.

**ქ. ჟ.**

·ღტაფვ უფბსღფჯაბცობყტს= fcnhjgjhjuyjpb @ ფეღბცნჯცსღბც

**ვერძი** – ერიდეთ შორეულ მგზავრობას. სახლში დარჩით და დაისვენეთ. **კურო** – ეს დღე მეგობრების წრეში გაატარეთ. **ტყუპები** – თავმდაბლად იმუშავეთ. თქვენი შრომა დაფასდება. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **ლომი** – თავი შეიკავეთ მკვეთრი გამონათქვამებისგან. კონფლიქტური დღეა. **ქალწული** – მძიმე წუთებში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მორიელი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** – კარგი დროა ახალი საქმის წამოსაწყებად. **თხის რქა** – წარმატებული დღეა. ყველა საქმე გამოგდით. **მერწყული** – საყვარელი ადამიანისგან სიურპრიზი გელით. **თევზები** – ფულს შოულობთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. – სამსახურში სიახლეა. შესაძლოა, დაგაწინაურონ.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტს=

h]xyc\x]b ფ

**შვეულად:** 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. პატარა არია ოპერაში; 5. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 12. ძველ რომში მოხელე, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. არგენტინის ნაკრებისა და „ინტერის“ ფეხბურთელი; 16. არწივის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ტელეგრაფით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 7. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 13. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 18. გემის უკანა ნაწილი; 19. ჩუქურთმა ანუ ...; 20. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების დაავადება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




1 აგვისტოდან

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

cfmfhsdtkjc cfvjwbmekj trktcbbcbcnjhbf

ტომი 1

უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

ჟურნალ სარკესთან ერთად